ხელოვნების მკვლევართა XIX
საერთაშორისო კონფერენცია
The 19th International Conference
of Arts Researchers

კულტურა ცვლილებების ზღვარზე

CULTURE ON THE THRESHOLD OF CHANGE



ანოტაციები
Abstracts

7-9 ოქტომბერი
OCTOBER
თბილისი 2026 TBILISI

MINISTRY OF CULTURE
OF GEORGIA

ხელოვნებს მკვლევართა XIX საერთაშორისო კონფერენცია
19th International Conference of Arts Researchers

კულტურა ცვლილებების ზღვარზე

CULTURE ON THE THRESHOLD OF CHANGE

7–9 ოქტომბერი 2026
October

ანოტაციები
Abstracts

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM
GEORGIAN STATE UNIVERSITY

თბილისი I Tbilisi

კრებული წარმოადგენს ხელოვნების მკვლევართა მე-19 საერთაშორისო კონფერენციის ანოტაციებს.
წლევანდელი კონფერენციის პრიორიტეტული თემაა **„კულტურა ცვლილებების ზღვარზე“**. კონფერენცია ასევე მოიცავს თავისუფალი თემატიკის სექციებს.

კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონფერენცია თანადაფინანსებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ.

კონფერენციის ხელმძღვანელი:
ნატო გენგიური — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
საორგანიზაციო კომიტეტი
კოორდინატორი:
ზვიად დოლიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინომცოდნეობის მიმართულების პროფესორი
წევრები:
ქეთევან ოჩხიკიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტ.-პროფ.
ანა კვინიკაძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი

This volume presents the abstracts of the 19th International Conference of Art Researchers.
The main theme of this year's conference is **"Culture on the Threshold of Change."** The conference also includes sessions on a variety of other topics.
The conference is co-funded by the Ministry of Culture of Georgia.
Conference Chair:
Nato Gengiuri — PhD in Art History, Professor, Head of the Quality Assurance Office, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Organizing Committee
Coordinator:
Zviad Dolidze — PhD in Art History, Professor of Film Studies
Members:
Ketevan Ochkhikidze — PhD in Art History, Assistant Professor
Ana Kvinikadze — PhD in Art History, Staff Member of the International Relations Office

ლიტერატურული რედაქტორი: **თამთა ქაჯაია** Literary Editor: **Tamta Kajaia**
გარეკანის დიზანი: **ივანე კიკნაძე** Cover design: **Ivane Kiknadze**
დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე** Bookbinder: **Ekaterine Okroporidze**
კორექტორი: **მანანა სანადირაძე** Proof-reader: **Manana Sanadiradze**

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2026
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2026

ISBN 978-9941-7912-8-4

სარჩევი

თეატროლოგია

მარინე (მაკა) ვასაძე
სათეატრო ხელოვნება ეპოქალური ცვლილებების ზღვარზე 16

კრასიმირა ივანოვა
ვოლტერიდან ანიმაციამდე: ინგლისური ეთნოსტერეოტიპები ლიტერატურას, თეატრსა და კინოს შორის 18

მაია კიკნაძე
ქართული თეატრი 1918-1921 წლებში 19

არმანდო როტონდი
„გამოცდილების რეჟისორის“ ცნების განსაზღვრა: Rimini Protokoll-ის სიტუაციური პერფორმანსები 21

ნარინე სარგსიანი
აღმოსავლეთ სომხური პროფესიული თეატრის დაარსება და განვითარება თბილისში 22

თამარ ქუთათელაძე
სპექტაკლები ორი ეპოქის ზღვარზე 23

თამარ ცაგარელი
კონკიას სიკვდილი XXI საუკუნეში 24

მარინა ხარატიშვილი
„ახალი დრამა“ ეპოქალური კულტურული ცვლილებების ზღვარზე 26

კინომცოდნეობა

იოზიფ ასტრუკოვი
„სტრინგერის“ შემთხვევა 30

ელეონორა გოგოლაშვილი
კრიზისის ალეგორიები თანამედროვე კინოში: კინოიგავი, როგორც გარდამავალი ეპოქის კულტურული ენა 31

ზვიად დოლიძე
კინოს გახმოვანება: რევოლუცია, რომელმაც შეცვალა კინოკულტურა 32

ვაჟა ზუბაშვილი
ნავთობი, როგოც ჟვეცნობიერი საფრთხე ქართულ კინოში 34

ბილგე კალკავანი, ბიულენთ ბაჰრი ქუჩუქერდოღანი
კულტურის რეპრეზენტაცია თურქულ კინოსა და ტელესერიალებში: რეცეფციული ანალიზი 36
მაია ლევანიძე
თანამედროვე ადამიანის მენტალური და სულიერი კრიზისი ქართულ კინოში 37
მანანა ლეკბორაშვილი
ჰოლივუდი ომისშემდგომი გამოწვევების პირისპირ 39
ანდრონიკა მარტონოვა
მეხსიერებიდან გამოცდილებამდე: ზღვრის გადალახვა კინოარქივიდან ცოცხალ არქივამდე 41
ლელა ოჩიაური
გონება, როგორც ვნება - ერთი და იგივე და სხვადასხვა დროს 45
მედალინა ანდრეა პაუნი
რატომ ჰგავს ყველა თანამედროვე ფილმი ერთმანეთს? ვიზუალური ჰომოგენიზაცია და კინემატოგრაფიის ციფრული ტრანსფორმაცია 46
ქეთევან ღონღაძე
როკ-მუსიკა, კინო და კონტრკულტურა (ახალი აუდიოვიზუალური ენის ფორმირება 1960-1970-იანი წლების ამერიკულ კინოში) 48
მარიან ცუცუი
იონ პოპესკუ-გოპო და 1957 წელს კანში მის მიერ მოპოვებული „ოქროს პალმის“ მნიშვნელობა 50

ხელოვნებათმცოდნეობა
ირინე აბესაძე
ივანე ჭავახიშვილის ბიოგრაფიული დეტალების ვიზუალური განსახოვნება ახალმიკვლეულ გრაფიკულ ჩანახატებში 53
ნოდარ არონიშისძე
ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესია (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობა და მისი განადგურების ისტორია) 54

ნატო გენგიური
სოხთას ეკლესია ცვლილებების ზღვარზე:
ახლად გამოვლენილი რელიეფები და რეგიონული
სკულპტურული სკოლის საკითხი 56
თორნიკე დიასამიძე
ქრისტიანობის გავრცელება X საუკუნის ალანთა სამეფოში:
ისტორიული წყაროები და ქრისტიანული ტაძრები 57
ირმა დოლიძე
სოხუმის დრამატული თეატრის არქიტექტურა 59
რუსუდან დოლიძე
ახალი კულტურული პარადიგმის ფორმირება:
ავანგარდული აზროვნება, მოდერნიზმი
და საქართველო 61
ეკატერინა კენიგსბერგი
იააკოვ აგამი: ზედაპირები მოძრაობაში 62
ნინო კვირიკაშვილი
წმინდა სერგი და წმინდა ბაქოსი: ახლად
იდენტიფიცირებული რელიეფები ვალეს
ეკლესიაზე (X საუკუნე) 64
ეკატერინე კიკნაძე
არარსებული მონუმენტები: ქართული საჭარო
მეხსიერების საზღვრები იმპერიულ თბილისში 65
ლალი ოსეფაშვილი
კიდევ ერთი სვეტიცხოვლისეული სიწმიდის
შესწავლის საკითხისათვის 66
ქეთევან ოჩხიკიძე
შუა საუკუნეების მეორედ მოსვლის იკონოგრაფიის
რეცეფცია მერაბ აბრამიშვილის „აპოკალიფსში“ 68
სოფო პაპინაშვილი
მონუმენტებისა და მემორიალების ფორმისა
და შინაარსის გააზრება XX საუკუნის
ქართულ ქანდაკებაში 69
თეიმურაზ ქანთარია-ჯაბადარი, დავით ნიორაძე
თბილისის ნერსესიანის სემინარია: ისტორია
და არქიტექტურა 70

მედიის კვლევები

დავით დოლიძე
კულტურული იდენტობის ტრანსფორმაცია გლობალური მედიაბრენდების ციფრული განვითარების პირობებში: ქართული მედიასივრცის გამოცდილება 73

ნანა დოლიძე
ეკრანული ნარატივის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: ტრადიციული ტელესერიალიდან მიკროსერიალამდე 75

თეონა ზედანია
კულტურული კომუნიკაციის ტრანსფორმაცია ციფრული ცვლილებების ზღვარზე: ტრადიციული რადიოდან პოდკასტის ეპოქამდე 77

ლაურა კუტუბიძე
მედიის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: ინდივიდუალური მომხმარებლიდან აუდიტორიის ტრაიბალიზმისკენ 80

თეონა ნაცვლიშვილი
იაპონური იდენტობის ფორმირება: ტრადიციასა და გლობალიზაციას შორის 81

გიორგი ჩართოლანი
ტელევიზია 60+
(აუდიტორიის „დაბერება“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი) 82

ასმათ წერეთელი
კულტურისა და მედიის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები ციფრულ ეპოქაში 84

თეა ჭანტურია
სინთეზური მედია, როგორც აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის ახალი ეტაპი 86

ციფრული კულტურა და ახალი მედია

მარია ბუკურენჩიუ-რიზესკუ
თამაშები თერაპიაში: აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან ინტერვენციების დიგიტალიზაცია სერიოზული თამაშების საშუალებით 89

თამარ ვეფხვაძე
ქართული ენა ხელოვნური ინტელექტის (AI) ეპოქაში: მცირე კულტურის გამოწვევები და შესაძლებლობები დიდი ენობრივი მოდელების კონტექსტში 90
გიორგი რაზმაძე
ხელოვნური ინტელექტით გენერირებული გამოსახულების შეცდომები, როგორც ნიშნები 91

მუსიკოლოგია

ბაიბა იანუსლავიეტე
ეზოპეს ენა პეტერის ვასკსის საბჭოთა პერიოდის მუსიკაში 94
სოფიო მოდებაძე
გია ყანჩელის შემოქმედებითი გზის ფილოსოფიური საზრისი 95
პეტია სტეფანოვა
ბავშვი, როგორც კომპოზიტორი: მუსიკა, თამაში და წარმოსახვა გენერაციულ შემოქმედებით-საგანმანათლებლო მოდელში 96
მარინა ქავთარაძე
მე-20 საუკუნის მუსიკალური თეატრი განახლების გზების ძიებაში 98
თამარ ჩხეიძე
იბაკოს ჟანრი ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში: გენეზისი, მოდალური ორგანიზაცია და ჟანრული ტრანსფორმაცია 99

ქორეოლოგია

ეკატერინე გელიაშვილი
ქართული ქორეოგრაფიული ენის ტრანსფორმაცია: ანსამბლ „სუხიშვილებისა და „აფხაზეთის“ შემოქმედებითი პარადიგმები 102
ლაურელ ვიქტორია გრეი
„მაკნატუნას“ „არაბული ცეკვის“ საკრალური ქართული საწყისების აღდგენა 103

თავისუფალი თემების სექცია
თეატროლოგია

დალი მესაბლიშვილი
სათეატრო ხელოვნება, როგორც სოციალური განვითარების ხარაჩო (მოზარდთათვის) 106

მანანა ტურიაშვილი
ბიბლიური პერსონაჟის განვითარება ორ ლიტერატურულ ნაწარმოებში და მიხეილ თუმანიშვილის სარეპეტიციო პროცესში 107

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული ტურიზმი

ნაირა გალახვარიძე
XXI საუკუნე-თავისებურებები, პრობლემები კულტურისა და ხელოვნების ბიზნესში 110

ნიკო კვარაცხელია
ვიზუალიზაციის გამოყენება კულტურულ ტურიზმში 112

ნათია კოპალეიშვილი
მუზეუმების წარმოშობა და მათი ტრანსფორმაცია მსოფლიო კულტურულ სივრცეში 114

ნათია მეფარიშვილი
ქალი ხელოვანები ციფრულ ეპოქაში: ხილვადობის, ავტორობისა და ეკონომიკური მონაწილეობის გაძლიერების ინსტრუმენტები 115

ჯაბა სიხარულიძე
კულტურის სფეროს ორგანიზაციის მართვა - ქართული მოდის ინდუსტრიის გამოწვევები 117

მედეა ყურაშვილი
რესურსების მართვა სახელოვნებო ორგანიზაციებსა და პროექტებში 118

დოდო ჯუმბურიძე
კულტურის სფეროს ორგანიზაციების პოლიტიკის დოკუმენტი და განვითარების შესაძლებლობები 119

თინი ხუციშვილი
საჯარო კომუნიკაცია - კულტურის პოლიტიკის სტარატეგიული რესურსი 121

CONTENTS

TEATROLOGY

Marina (Maka) Vasadze
THEATRICAL ART ON THE VERGE OF EPOCHAL CHANGES 123
Krasimira Ivanova
FROM VOLTAIRE TO ANIMATION: ENGLISH ETHNOSTEREOTYPES BETWEEN LITERATURE, THEATRE AND FILM 125
Maia Kiknadze
GEORGIAN THEATER IN 1918–1921 126
Armando Rotondi
„ DEFINING THE "DIRECTOR OF EXPERIENCE": RIMINI PROTOKOLL'S SITUATIONAL PERFORMANCES 128
Narine Sargsyan
THE FOUNDATION AND DEVELOPMENT OF EASTERN ARMENIAN PROFESSIONAL THEATRE IN TIFLIS 129
Tamar Kutateladze
PERFORMANCES ON THE VERGE OF TWO ERAS 130
Tamar Tsagareli
CINDERELLA'S DEATH IN THE XXI CENTURY 131
Marina Kharatishvili
THE NEW DRAMA ON THE THRESHOLD OF EPOCHAL CULTURAL TRANSFORMATIONS 133

FILM STUDIES

Iosif Astrukov
THE STRINGER CASE 135
Eleonora Gogolashvili
CRISIS ALLEGORIES IN CONTEMPORARY CINEMA: THE FILM PARABLE AS THE CULTURAL LANGUAGE OF A TRANSITIONAL ERA 136
Zviad Dolidze
THE COMING OF SOUND IN CINEMA: A REVOLUTION THAT TRANSFORMED FILM CULTURE 137
Vaja Zubashvili
OIL AS A SUBCONSCIOUS THREAT IN GEORGIAN CINEMA 138

Bilge Kalkavan, Bülent Bahri Küçükerdoğan
THE REPRESENTATION OF CULTURE IN TURKISH CINEMA AND TV SERIES: A RECEPTION ANALYSIS 140
Maya Levanidze
THE MENTAL AND SPIRITUAL CRISIS OF MODERN MAN IN GEORGIAN CINEMA 141
Manana Lekborashvili
HOLLYWOOD CONFRONTING POST-WAR CHALLENGES 142
Andronika Martonova
FROM MEMORY TO EXPERIENCE: CROSSING THE THRESHOLD FROM FILM ARCHIVE TO LIVING ARCHIVE 144
Lela Ochiauri
MIND AS PASSION, SEMPER IDEM AND AT DIFFERENT TIMES 147
Mădălina Andreea Păun
WHY DO ALL CONTEMPORARY FILMS LOOK THE SAME? VISUAL HOMOGENIZATION AND THE DIGITAL TRANSFORMATION OF CINEMATOGRAPHY 149
Ketevan Ghonghadze
ROCK MUSIC, CINEMA, AND COUNTERCULTURE (The Formation of a New Audiovisual Language in American Cinema of the 1960s and 1970s) 150
Marian Ţuţui
ION POPESCU-GOPO AND THE IMPORTANCE OF THE PALME D'OR AWARD HE WON AT CANNES IN 1957 152

ART STUDIES

Irine Abesadze
VISUAL REPRESENTATION OF BIOGRAPHICAL DETAILS OF IVANE JAVAKHISHVILI IN NEWLY DISCOVERED GRAPHIC SKETCHES 154
Nodar Aronishidze
ST. GEORGE'S CHURCH OF ZGHUDERI (The Significance of a Cultural Heritage Monument and the History of Its Destruction) 156

Nato Gengiur
THE SOKHTA CHURCH AT THE THRESHOLD OF CHANGE: NEWLY REVEALED RELIEFS AND THE QUESTION OF A REGIONAL SCHOOL OF SCULPTURE 157
Tornike Diasamidze
THE SPREAD OF CHRISTIANITY IN THE TENTH CENTURY KINGDOM OF ALANIA: HISTORICAL SOURCES AND CHRISTIAN CHURCHES 159
Irma Dolidze
ARCHITECTURE OF THE SOKHUMI DRAMATIC THEATRE 160
Rusudan Dolidze
FORMATION OF A NEW CULTURAL PARADIGM: AVANT-GARDE THOUGHT, MODERNISM, AND GEORGIA 161
Ekaterina Kenigsberg
YAACOV AGAM: SURFACES IN MOTION 162
Nino Kvirikashvili
ST. SERGIUS AND ST. BACCHUS: NEWLY IDENTIFIED RELIEFS ON THE VALE CHURCH (10th Century) 163
Eka Kiknadze
ABSENT MONUMENTS: GEORGIAN PUBLIC MEMORY AND THE LIMITS OF VISIBILITY IN IMPERIAL TIFLIS 164
Lali Osepashvili
TOWARDS THE STUDY OF ANOTHER HOLY ARTIFACT OF SVETITSKHOVELI 165
Ketevan Ochkhikidze
THE RECEPTION OF MEDIEVAL ICONOGRAPHY OF THE SECOND COMING IN MERAB ABRAMISHVILI'S "APOCALYPSE" 167
Sopio Papinashvili
UNDERSTANDING THE FORM AND CONTENT OF MONUMENTS AND MEMORIALS IN TWENTIETH- AND TWENTY-FIRST-CENTURY GEORGIAN MONUMENTAL SCULPTURE 168
Temur Kantaria-Jabadari, Davit Nioradze
THE NERSISYAN SEMINARY IN TBILISI: HISTORY AND ARCHITECTURE 169

MEDIA RESEARCHES

Davit Dolidze
CULTURAL IDENTITY TRANSFORMATION IN THE CONTEXT OF THE DIGITAL DEVELOPMENT OF GLOBAL MEDIA BRANDS: THE EXPERIENCE OF THE GEORGIAN MEDIA LANDSCAPE 171
Nana Dolidze
THE TRANSFORMATION OF SCREEN NARRATIVE IN THE DIGITAL AGE: FROM TRADITIONAL TELE-VISION SERIES TO MICRO-SERIES 173
Theona Zedania
TRANSFORMATION OF CULTURAL COMMUNICATION AT THE THRESHOLD OF DIGITAL CHANGE: FROM TRADITIONAL RADIO TO THE PODCAST ERA 175
Laura Kutubidze
MEDIA TRANSFORMATION IN THE DIGITAL AGE: FROM AN INDIVIDUAL USER TOWARD AUDIENCE TRIBALISM 177
Teona Natsvlishvili
FORMATION OF JAPANESE IDENTITY: BETWEEN TRADITION AND GLOBALIZATION 178
George Chartolani
TELEVISION 60+(The "Graying" of Audiences and the Role of the Public Broadcaster) 179
Asmat Tsereteli
CONTEMPORARY TRENDS IN THE TRANSFORMATION OF CULTURE AND MEDIA IN THE DIGITAL AGE 181
Tea Chanturia
SYNTHETIC MEDIA AS A NEW STAGE IN THE TECHNOGENIC TRANSFORMATION OF AUDIOVISUAL CULTURE 183

DIGITAL CULTURE AND NEW MEDIA

Maria Bucurenciu-Rizescu
GAMES IN THERAPY: THE DIGITALIZATION OF INTERVENTIONS FOR CHILDREN WITH AUTISM SPECTRUM DISORDER THROUGH SERIOUS GAMES 185

Tamar Vepkhvadze
GEORGIAN LANGUAGE IN THE AGE OF AI: CHALLENGES AND OPPORTUNITIES OF A MINOR CULTURE IN THE CONTEXT OF LARGE LANGUAGE MODELS 186
Giorgi Razmadze
AI-GENERATED IMAGE ERRORS AS SIGNS 187

MUSICOLOGY

Baiba Jaunslaviete
AESOPIAN LANGUAGE IN THE SOVIET ERA MUSIC BY PĒTERIS VASKS 188
Sophio Modebadze
THE PHILOSOPHICAL MEANING OF GIA KANCHELI'S CREATIVE PATH 189
Petya Stefanova
THE CHILD AS COMPOSER: MUSIC, PLAY AND IMAGINATION IN A GENERATIVE CREATIVE-EDUCATIONAL MODEL 190
Marina Kavtaradze
20TH-CENTURY MUSICAL THEATRE IN SEARCH OF RENEWAL 191
Tamar Chkheidze
THE HYPAKOË GENRE IN THE GEORGIAN LITURGICAL TRADITION: GENESIS, MODAL ORGANIZATION, AND GENRE TRANSFORMATION 192

CHOREOLOGY

Ekaterine Geliashvili
"TRANSFORMATION OF GEORGIAN CHOREOGRAPHIC LANGUAGE: CREATIVE PARADIGMS OF THE 'SUKHISHVILI' AND 'APKHAZETI' ENSEMBLES" 194
Laurel Victoria Gray
RESTORING THE SACRED GEORGIAN ROOTS OF THE NUTCRACKER'S "ARABIAN" DANCE 195

FREE THEME SECTION
THEATROLOGY

Dali Mesablishvili
THE ART OF THEATER AS A FRAMEWORK FOR THE SOCIAL DEVELOPMENT OF ADOLESCENTS 197
Manana Turiashvili
THE DEVELOPMENT OF A BIBLICAL CHARACTER IN TWO LITERARY WORKS AND IN MIKHEIL TUMANISHVILI'S REHEARSAL PROCESS 198

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhveridze
XXI CENTURY – FEATURES, PROBLEMS IN THE BUSINESS OF CULTURE AND ART 200
Niko Kvaratskhelia
THE USE OF VISUALIZATION IN CULTURAL TOURISM 202
Natia Kopaleishvili
THE ORIGINS OF MUSEUMS AND THEIR TRANSFORMATION IN THE GLOBAL CULTURAL LANDSCAPE 203
Natia Meparishvili
WOMEN ARTISTS IN THE DIGITAL ERA: INSTRUMENTS FOR STRENGTHENING VISIBILITY, AUTHORSHIP, AND ECONOMIC PARTICIPATION 204
Jaba Sikharulidze
MANAGEMENT OF CULTURAL ORGANIZATIONS – CHALLENGES OF THE GEORGIAN FASHION INDUSTRY 206
Medea Kurashvili
RESOURCE MANAGEMENT IN ARTS ORGANIZATIONS AND PROJECTS 207
Dodo Tchumburidze
POLICY DOCUMENT AND DEVELOPMENT OPPORTUNITIES OF THE CULTURAL SPHERE ORGANIZATIONS 208
Tinatin Khutsishvili
PUBLIC COMMUNICATION AS A STRATEGIC RESOURCE OF CULTURAL POLICY 210

თეატროლოგია

მარინე (მაკა) ვასაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სათეატრო ხელოვნება ეპოქალური ცვლილებების ზღვარზე

სათეატრო ხელოვნება მუდამ თანამედროვეა, მუდმივად ვითარდება. თამაშობრივი რიტუალიდან დაბადებული, უძველესი დროიდან დღემდე – ითვისებს, ირგებს, ისისხლხორცებს მისთვის საინტერესო შინაარსსა თუ ფორმას და აგრძელებს სიცოცხლეს. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, ვინაიდან თეატრი, ხელოვნების დარგებს შორის, ყველაზე ცოცხალი და სხვასთან ერთად, ხელოვნების ყველაზე კომუნიკატორული სფეროა. თეატრი ქმნის მაყურებლისთვის და მაყურებლის გარეშე არ/ვერ იარსებებს, ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა რაოდენობას. მოაზროვნე/ბრძენი ადამიანის (Homo Sapiens) ჩამოყალიბებისას დაბადებული თეატრი იცოცხლებს იქამდე, სანამ, თუნდაც, ერთი მაყურებელი ეყოლება.

სათეატრო ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია/ნოვაციები ყოველთვის დაკავშირებულია ეპოქალურ გარდატეხებთან. დრამატურგიასა თუ საშემსრულებლო ხელოვნებაში, ყველაზე საინტერესო, ძიებებით აღსავსე პერიოდები, სწორედ ახალი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ფორმაციების ჩამოყალიბებასთან, პოლიტიკურ/სოციალურ რყევებთან, ტექნიკურ პროგრესთან, ცივილიზაციის განვითარებასთანაა მისადაგებული.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნიკური პროგრესი აჩქარებს ცივილიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებას. იწყება კოლოსალური აღმოჩენების პერიოდი მეცნიერებაში, კულტურის სხვადასხვა დარგსა თუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. იცვლება ადამიანის მსოფლმხედველობა – ღმერთი მოკვდა, განაცხადებს ფრიდრიხ ნიცშე, მანამდე კირკეგორი ძველი ღმერთის სანაცვლოდ ახალი ღმერთის ძიებას იწყებს და არჩე-

ვანის საკითხს წამოსწევს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის არსებობის წესს (ესთეტიკური, ეთიკური თუ რელიგიური). ცოტა მოგვიანებით იქმნება ფსიქოანალიზის თეორია. ფროიდი ადამიანის შემოქმედებითი ქმნადობის უნარს დათრგუნვილი ლიბიდოს ენერგიის სხვა სფეროში გარდაქმნას უკავშირებს, მისი მოწაფე იუნგი არ უარყოფს ლიბიდოს როლს, მაგრამ იტყვის, რომ კოლექტიური არაცნობიერი, კოლექტიური არქეტიპი მოქმედებს ადამიანის შემოქმედებით უნარებზე.

XX საუკუნეში, ობიექტურ მიზეზთა გამო (ტექნოლოგიური განვითარება თავბრუდამხვევი სისწრაფით, ორი მსოფლიო ომი, ეკონომიკური კრიზისები და სხვა), იდეალისტურს უპირისპირდება ეგზისტენციალური ფილოსოფია და არსს (აბსოლუტურ გონებას, ჰეგელი) არსებობა (პრეეგზისტენციალისტი კირკეგორი, ჰაიდეგერი, იასპერსი, სარტრი და სხვ.) ანაცვლებს, ადამიანი გაუცხოვდა, არა მარტო, გარემოსთან, არამედ, საკუთარ თავთან და უსაზღვრო მარტოსულობას განიცდის.

ცივილიზაციის განვითარების მიუხედავად, მოაზროვნე/ბრძენი ადამიანი (Homo Sapiens) ამ ქვეყნად, ალბათ, ყველაზე სასტიკ არსებად რჩება.

ჩემი კვლევის ამოცანაა, ავსახო, თუ როგორ რეაგირებს ხელოვნება, კერძოდ სათეატრო ხელოვნება, ეპოქალურ ცვლილებებზე, შინაარსობრივად თუ ფორმობრივად.

მიზანი – შედარებითი ანალიზისას განვიხილავ სამ დრამატურგიულ ტექსტს და სამ დადგმას. მილო რაუსა და შაუბუნეს კოპროდუქციას „მისანი“ შერეული ხერხებით (ნარატივის თეატრი, დოკუმენტური დრამა, თეატრი კვლევა, ვიდეო და ციფრული ტექნოლოგიები) განხორციელებულს. თემო კუპრავას და სოფო ქელბაქიანის მარჯანიშვილის თეატრში, ასევე, შერეული სათეატრო ხერხებით დადგმულ სპექტაკლებს: ფერდინანდ ფონ შირახის თანამედროვე დრამატურგიულ ტექსტზე აგებულ „ტერორს“ და იბსენის „ხალხის მტრის“ კიდევ ერთ, საინტერესო ინტერპრეტაციას.

დასკვნა – მოაზროვნე ადამიანის (Homo Sapiens) ქცევის, ქმედების არსის დადგენა. რა აიძულებს ადამიანს ამა თუ იმ საქციელს/ქმედებას, მისი არსობრივი, შინაგანი სამყარო, თუ,

გარემო პირობები. რა იწვევს ცივილიზებულ სამყაროში - ადამიანის სისასტიკეს, ადამიანის მიერ სიყვარულის, სიკეთის გრძნობის დაკარგვა/გაქრობას, ადამიანის გაუცხოებას საკუთარ თავთან თუ გარემოსთან; ადამიანის და საზოგადოების, ადამიანის და სახელმწიფო, სამთავრობო სტრუქტურების დაპირისპირებას. როგორ, რა ფორმით, ხერხებით აისახება თანამედროვე, XXI საუკუნის ადამიანის პრობლემები უახლეს უცხოურ თუ ქართულ თეატრში, მსოფლმხედველობრივი თუ კულტურული ცვლილებების ზღვარზე მყოფ ეპოქაში.

კრასიმირა ივანოვა,
დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნების კვლევების ინსტიტუტი – ბულგარეთის
მეცნიერებათა აკადემია

ვოლტერიდან ანიმაციამდე: ინგლისური ეთნოსტერეოტიპები ლიტერატურას, თეატრსა და კინოს შორის

კვლევაში განხილულია ინგლისური ეთნოსტერეოტიპების ტრანსფორმაცია მოდერნულობის ეპოქიდან დღემდე, რომელიც აანალიზებს, თუ როგორ იცვლებოდა მათი ფორმები ინდუსტრიალიზაციისა და პოსტმოდერნული კულტურული პარადიგმების გავლენით.

XVIII-XIX საუკუნეების ფრანგულ ლიტერატურაში (ვოლტერი) ჩამოყალიბებული ეთნოსტერეოტიპები განიცდის რეკონფიგურაციას გი დე მოპასანის, ბერნარდ შოუსა (Pygmalion) და კინემატოგრაფიულ (Mary Poppins, Nanny McPhee) ნაწარმოებებში, რომლებიც ინგლისური თავშეკავებულობისა და სოციალური იერარქიის ირონიულ რეპრეზენტაციას ავითარებს.

თანამედროვე ბრიტანულ ანიმაციაში (Chicken Run, Wallace & Gromit, Fantastic Mr. Fox) ეს სტერეოტიპები თვითირონიის გზით გარდაიქმნება, ხოლო ბულგარულ ფილმში „მისია ლონ-

დონი“ (Mission London) და სიტკომში „უინძორები“ (The Windsors) დაპირისპირებულია არისტოკრატიული თავშეკავებულობა და ეროვნული თვითპაროდია.

ავტორი ასკვნის, რომ ინგლისური ეთნოსტერეოტიპები დინამიკური კონსტრუქტია, რომელიც, მედიუმისა და დამკვირვებლის პოზიციის მიუხედავად, იდენტიფიცირებადი რჩება.

მაია კიკნაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

ქართული თეატრი 1918-1921 წლებში

1918 წლის 26 მაისს იწყება თავისუფალი საქართველოს წელთაღრიცხვა, რომელიც 1921 წლის თებერვალში გასაბჭოების დროს დასრულდა. ამ პერიოდში არსებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გარკვეული გავლენა სათეატრო ხელოვნებაზეც იქონია. არსებობდა სასიკეთო ძვრები, თუმცა ცხადია, რომ ამ მოკლე ხანში ვერ მოხდებოდა ძირეული გარდატეხა.

1918-21 წლების ქართულ თეატრში მოღვაწეობენ ძველი და ახალი თაობის მსახიობები. სარეჟისორო შემოქმედებით მუშაობას აგრძელებენ პროფესიონალი რეჟისორები: ალექსანდრე წუწუნავა, ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფაღავა. სცენაზე იდგმება, როგორც ახალი, ასევე პიესები მე-19 საუკუნის 60-80 წლების რეპერტუარიდან. თეატრში არსებულ რომანტიზმს უპირისპირდება ფსიქოლოგიური რეალიზმი.

ქართული თეატრის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1918 წელს გიორგი ჯაბადარის სტუდიის დაარსება, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია იმ პერიოდის თეატრალურ პროცესებზე. სტუდიამ, ფაქტობრივად, თეატრის ფუნქცია იტვირთა.

1920 წელს რეჟისორი აკაკი ფაღავა ქმნის ახალ დასს ძველი თაობის მსახიობებისა და ჯაბადარის სტუდიელებისგან. სპექ-

ტაკლებს მართავენ სახელმწიფო დრამის თეატრის შენობაში (ახლანდელი რუსთაველის თეატრი). 1920 წელს ქართულ დასს მისცეს უფლება ამ შენობაში გაეგრძელებინა მუშაობა.

1920 წელს ახალგაზრდა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ხელშეკრულება გააფორმა ქართული დრამის თეატრთან. დასადგმელად აირჩია სანდრო შანშიაშვილის სიმბოლისტურ-ექსპრესიონისტული პიესა „ბერდო ზმანია“, რომელშიც გამოვლინდა რეჟისორის სრულიად განსხვავებული სათეატრო ესთეტიკა. ამ პერიოდიდან იწყება ექსპერიმენტული ძიებები, რომლებიც მოგვიანებით უფრო მკვეთრად მარჯანიშვილისა და ახმეტელის სპექტაკლებში გამოვლინდა.

1918-21 წლებში, ქართველმა დრამატურგებმა (პოლიკარპე კაკაბაძე, სანდრო შანშიაშვილი, დავით კასრაძე, იოსებ ირემაშვილი, ტრიფონ რამიშვილი და სხვა) არაერთი პიესა დაწერეს, თუმცა ყველა არ იყო მაღალმხატვრული დონის და ვერ აკმაყოფილებდა ახალი ცხოვრების მოთხოვნებს. ამ პიესების უმრავლესობა ვერ დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რამდენიმე დღით ადრე, 15 თებერვალს, წარმოადგინეს დავით ერისთავის „სამშობლო“. სპექტაკლი გვიან დაიწყო, ვინაიდან კარისკაცნი - სტატისტები, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას, სამხედრო პოზიციაზე გაგზავნეს. საქართველოს ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე სანდრო ახმეტელმა დადგა ავქსენტი ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, რომლის წარმოდგენებიც გასაბჭოების შემდეგაც გაგრძლდა.

არმანდო როტონდი,
პერფორმანსის თეორიისა და თხრობითი ხელოვნების
პროფესორი ბარსელონის ხელოვნების ინსტიტუტი

„გამოცდილების რეჟისორის“ ცნების განსაზღვრა: Rimini Protokoll-ის სიტუაციური პერფორმანსები

იმ ეპოქაში, როდესაც ისტორიული, სოციალური და ტექნოლოგიური გარდაქმნები ხელოვნებისა და მედიის ფორმების ფუნდამენტურ გადააზრებას იწვევს, თანამედროვე თეატრი ცვლილებების კრიტიკულ ზღვარზე აღმოჩნდა. ნაშრომი განიხილავს თეატრის რეჟისორის ტრანსფორმაციას „გამოცდილების რეჟისორად“, რომლის საქმიანობაც, ტრადიციული მაყურებლობის ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს იმერსიულ, სიტუაციურ გარემოთა შექმნაზე.

კვლევა შეისწავლის, თუ როგორ გარდაქმნის თანამედროვე პერფორმანსი ტრადიციულ თეატრალურ კოდებს, რათა მაყურებელი აქტიურ მონაწილედ აქციოს. Rimini Protokoll-ის სიტუაციური პერფორმანსების — Situation Rooms-ისა და URBAN NATURE-ის — შემთხვევის ანალიზის საფუძველზე ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ არღვევს ეს შემოქმედებითი კოლექტივი სივრცისა და აღქმის ტრადიციულ საზღვრებს. პროფესიონალი მსახიობების ნაცვლად ყოველდღიური ცხოვრების „ექსპერტების“ ჩართვით და პასიური მაყურებლის ადგილის ინტერაქტიური საშუალებებით (მაგალითად, ტაქტილური პლანშეტური მოწყობილობებით) ჩანაცვლებით, Rimini Protokoll მაყურებელს ანონიმური დამკვირვებლის პოზიციიდან რეალურ ისტორიათა რთულ ქსელში მოქმედ აქტიურ პროტაგონისტად გარდაქმნის.

ამასთან, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გამოცდილებაზე დაფუძნებული ცვლილება მხოლოდ მხატვრულ სივრცეში არ ვითარდება; იგი პოსტდრამატული ესთეტიკისა და თანამედროვე ეკონომიკური მოდელების გადაკვეთაზე ყალიბდება. პაინისა და გილმორის „გამოცდილების სფეროების“ (Experiential Realms) და ბერნდ შმიტის სტრატეგიული გამოცდილების მოდულების (Strategic Experiential Modules – SEMs)

თეორიების საფუძველზე კვლევა აანალიზებს, თუ როგორ იქცევა Rimini Protokoll-ის სარეჟისორო არჩევანი თეატრალური მედიუმის მხატვრული გათავისუფლების საშუალებად.

ნარინე სარგსიანი,
დოქტორი, პროფესორი
ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი

აღმოსავლეთ სომხური პროფესიული თეატრის დაარსება და განვითარება თბილისში

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი გარდამტეხი ეტაპია სომხური კულტურის ისტორიაში. ამ პერიოდში ტიფლისი (თბილისი) აღმოსავლეთ სომხეთის კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრების უმთავრეს ცენტრად ჩამოყალიბდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთ სომხურ პროფესიულ თეატრს. 1863 წელს ორი თეატრალური დასის გაერთიანებით პირველი მუდმივი პროფესიული თეატრი დაარსდა, რამაც სომხურ საშემსრულებლო ხელოვნებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ახალმა თეატრმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ეროვნული დრამატურგიის, სამსახიობო ოსტატობის, რეჟისურისა და სასცენო პრაქტიკის განვითარებაში. ის იქცა კულტურულ კერად, სადაც დრამატურგები, მსახიობები და რეჟისორები ერთობლივად ქმნიდნენ მდიდარ რეპერტუარს. ეროვნულ პიესებთან ერთად, სცენაზე იდგმებოდა შექსპირის (Shakespeare), შილერის (Schiller), მოლიერის (Molière), ოსტროვსკისა (Ostrovsky) და გოგოლის (Gogol) ნაწარმოებები. პარალელურად, თეატრი ხელს უწყობდა სომხური კულტურული იდენტობის შენარჩუნებასა და ეროვნული ხელოვნების აღმავლობას.

ეს პრეზენტაცია ეძღვნება ტიფლისის აღმოსავლეთ სომხური პროფესიული თეატრის დაარსებასა და განვითარებას ოთხი გამორჩეული პიროვნების მოღვაწეობის მაგალითზე. ესენი არი-

ან: გაბრიელ სუნდუკიანი (Gabriel Sundukyan), გევორგ ჩმიშკიანი (Gevorg Chmshkyan), პეტროს ადამიანოვი (Petros Adamyan) და სირანუში (Siranush). ნაშრომში გაანალიზებულია სუნდუკიანის წვლილი რეალისტურ დრამატურგიაში და ჩმიშკიანის როლი პროფესიული სცენის ორგანიზებაში. ასევე, ადამიანოვისა და სირანუშის შემოქმედებითი მიღწევები, რომელთაც სომხური თემის ფარგლებს გარეთაც მოიპოვეს აღიარება.

ნაშრომი აჩვენებს, რომ თბილისში დაარსებული თეატრი სომხური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. მისმა განვითარებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა სომხური თეატრის შემდგომ განვითარებას და წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში.

თამარ ქუთათელაძე,
თეატროლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

სპექტაკლები ორი ეპოქის ზღვარზე

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა თაობის რეჟისორების მიერ შექმნილი იდენტური, ძველი და უახლესი დადგმები. თვალს მივადევნებთ გასული საუკუნის სახელოვანი ქართველი რეჟისორების საკულტო სპექტაკლების ტრანსფორმაციის პროცესს XXI საუკუნის დადგმებში. ახალგაზრდებმა სრულიად ახალი თვალთახედვით წარმოაჩინეს სანდრო ახმეტელის განხორციელებული ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“ (რუსთაველის თეატრი, 1933). ამ მხრივ განვიხილავ საბა ასლამაზიშვილის დადგმულ „ყაჩაღებს“ (მარჯანიშვილის თეატრი, 2025). მიხეილ თუმანიშვილის დადგმული დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ (კინომსახიობთა თეატრი, 1982), ორიგინალურად განხორციელდა სოფო გელბაქიანის მიერ (ფოთის თეატრი, 2026), ვასილ ყუშიტაშვილის სახელოვანი დადგმა

ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ (მარჯანიშვილის თეატრი, 1946), ასევე რადიკალურად განსხვავებული აქცენტებით ვიხილეთ გიორგი თენაძისა და საბა ასლამაზიშვილის დადგმები (კამერული და კინომსახიობთა თეატრები, ორივე 2026). თემურ ჩხეიძის მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული იასმინა რეზას „ART-ხელოვნება“ (1999), მიმდინარე სეზონში წარმატებულ დადგმად იქნა მიჩნეული თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე დადგმული „დიაგნოზი - ხელოვნება“ (რეჟისორი თემურ გველესიანი, 2026). აღნიშნული სპექტაკლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავრწმუნდებით, რომ თითქმის ერთი თაობის ახალგაზრდა რეჟისორების ინტერპრეტაციები იქმნება ორი დროის ტანდემით, ადრეული დადგმებისაგან სრულიად განსხვავებული აქცენტებით, ახალი სადადგმო და საშემსრულებლო ხელოვნების პრიორიტეტებით. გარდა ამისა, ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით ღირებული ხდება სწორედ ახალი სათეატრო ტენდენციების გამომსახველი, რისკიანი რეჟისორული კონცეფციებით გამოკვეთილი, უახლესი პრობლემებით გაჯერებული ლაკონური, სანახაობრივი აზროვნება.

თამარ ცაგარელი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრმცოდნე. თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების მეცნიერ-მკვლევარი

კონკიას სიკვდილი XXI საუკუნეში

რა არის ზღაპარი დ როგორ ვკითხულობთ მას დღეს, თანამედროვე ეპოქაში?! მთავრდება თუ არა ზღაპარი მაშინ, როცა სრულდება მისი ამბავი, თუ ვაგრძელებთ ჩვენი წარმოსახვით იმ ნარატივს, რომელიც ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა მოგვაწოდა?!

თეორეტიკოსმა ვლადიმერ პროპმა შექმნა თეორია - „ზღაპრის მორფოლოგია“ (1928), სადაც, ჩამოაყალიბა ზღაპრის აგებულება სტრუქტურულად, მისი სიმბოლო/მეტაფორების ანალიზითა და კლასიკური, ძირითადი პერსონაჟების განხილვით. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ საუკუნე გავიდა, მისი თეორიული მიდგომა დღემდე აქტიურად გამოიყენება არა მხოლოდ ლიტერატურული ჟანრების, არამედ თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისა და კინემატოგრაფის ანალიზისთვის.

როგორ ვკითხულობთ და როგორ ინტერპრეტირდება ზღაპარი დღეს, XXI საუკუნეში?! ამის საუკეთესო მაგალითია ყველასათვის კარგად ცნობილი ფრანგი პოეტის, კრიტიკოსის, მეზღაპრის შარლ პეროს ლამაზი ზღაპარი „კონკია“, რომელიც, გოგონების საყვარელი, ჯადოსნური ამბავი იყო და იქნება. ბავშვობის ასაკში მისი კითხვის დროს, გულუბრყვილოდ გვჯერა კონკიას ბედნიერების, მაგრამ, რეალურ ცხოვრებაში, ზრდასრულობისას, ვხვდებით, რომ ჯადოსნური სამყარო ქრება და იწყება საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, განსაკუთრებით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის. თუ გადავხედავთ ლიტერატურის ისტორიას, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ქალები იბრძვიან თავისუფლებისთვის, საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის, ქალთა უფლებებისთვის. ფრანგი გოგონა კონკია პრინცესად გვევლინება, თუმცა.... თანამედროვე ეპოქაში მის „სიკვდილსაც“ კი მოვესწარით.

„კონკიას სიკვდილი“ ბრენდ DZHABA-ს ახალი შოუა თეატრალურ ფორმატში, თეატრ სახელოსნო 42-ის სცენაზე (იდეის ავტორი და დიზაინერი - ჯაბა ქურთიშვილი; დრამატურგი და რეჟისორი - ქეთევან სამხარაძე; პროდიუსერი - ბექა მაისურაძე; ქორეოგრაფი - გიორგი ტიელიძე; მსახიობები: ნინო ბურდული, ბაია დვალიშვილი, ნინო კასრაძე, მანანა კოზაკოვა, ნატა მურვანიძე, ნატო გაგნიძე, ნათია ბუნტური).

ეს არის მოდისა და თეატრის დიდი შეხვედრა, უნიკალური პერფორმანსი, სადაც ჩვენება სრულფასოვან თეატრალურ გამოცდილებად გარდაიქმნება. ეს არ არის ტრადიციული, ეგრეთ

წოდებული Runway Show, რადგან პერსონაჟების ხმები და ისტორიები DZHABA-ს ახალი კოლექციის ჩვენების ერთიან სცენურ განწყობას ქმნიან, სადაც კოლექცია ნარატივის ნაწილი ხდება, ხოლო, პერსონაჟი - ემოციური გამოცდილება, რომელიც ვერბალური თუ არავერბალური, თეატრალური ენის საშუალებით ცოცხლდება სცენაზე. წარმოდგენის განმავლობაში მაყურებელი უყურებს და ისმენს ხუთი ქალის პირად ისტორიას, მათ განსხვავებულ გამოცდილებებს გადარჩენის, სილამაზის, ძალაუფლების, მეხსიერებისა და ბრძოლის შესახებ. ეს არის ისტორია იმაზე, თუ რას ვკარგავთ და რას ვინახავთ, რა რჩება მაშინ, როდესაც ზღაპარი მთავრდება და ვინ მოგვითხრობს სიმართლეს კონკიას სიკვდილის შესახებ...

მარინა ხარატიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

„ახალი დრამა“ ეპოქალური კულტურული ცვლილებების ზღვარზე

XIX საუკუნის მიწურულს ევროპა მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნების ეპოქაში შევიდა. ამ პროცესებმა არსებითი გავლენა იქონია ხელოვნების განვითარებაზე. ევროპულ თეატრში მკაფიოდ გამოიკვეთა რეალიზმისკენ სწრაფვის ტენდენცია, რაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ბუნებრივ შედეგად მიიჩნევა. რეალისტური ესთეტიკის თანახმად, ხელოვნების უმთავრესი დანიშნულება გახდა სინამდვილის ობიექტური, სიღრმისეული კვლევა და მისი მხატვრული რეპრეზენტაცია, რაც, საბოლოოდ, საზოგადოების სულიერ და მორალურ განვითარებას უნდა მომსახურებოდა.

თეატრში რეალიზმის დამკვიდრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ექსპერიმენტული ძიებების სახით დაიწყო და ევროპულ დრამატურგიაში „ახალი დრამის“ ჩამოყალიბებით დასრულდა. ტრადიციული ღირებულებების გადაფასებამ ახალი მსოფლმხედველობა წარმოშვა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ მნიშვნელოვან თეატრალურ მიმდინარეობას. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში „ახალმა დრამამ“ ასახა საზოგადოების ღრმა გარდაქმნები და არსებითად შეცვალა კლასიკური თეატრის თემატიკა, სტრუქტურა და მხატვრული პრინციპები.

თუ ტრადიციული დრამა ძირითადად გმირულ პერსონაჟებზე, მკვეთრ კონფლიქტებსა და გარეგან მოვლენებზე იყო აგებული, „ახალი დრამის“ ავტორებმა ყურადღება გადაიტანეს ადამიანის შინაგან სამყაროზე, ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებზე, სოციალურ პრობლემებსა და ყოველდღიური ცხოვრების დრამატიზმზე. თეატრი მათთვის იქცა სივრცედ, სადაც გამოიკვეთა ადამიანის სულიერი კრიზისი, საზოგადოებრივი წინააღმდეგობები და ტრადიციული ღირებულებების რღვევა.

„ახალი დრამის“ ფუძემდებელმა და თეატრის ერთ-ერთმა უდიდესმა რეფორმატორმა ჰენრიკ იბსენმა შექმნა თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი. მისი დრამატურგია ასახავს პიროვნების შინაგან ტრანსფორმაციას, სულიერი და მორალური კრიზისის პროცესს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ამ კრიზისების გამომწვევ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებს უთმობს. იბსენმა წარმოაჩინა საზოგადოების, ოჯახისა და ადამიანთა ურთიერთობების ფასადური, მოჩვენებითი და ხშირად ყალბი ბუნება, რომელიც გარეგნული კეთილდღეობის მიღმა იმალებოდა.

„ახალი დრამის“ გამორჩეულმა წარმომადგენლებმა – ავგუსტ სტრინდბერგმა და ანტონ ჩეხოვმა – მიუხედავად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა, შექმნეს დრამატურგია, რომელმაც თანამედროვე თეატრის განვითარების მიმართულება მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

ჰენრიკ იბსენის, ავგუსტ სტრინდბერგისა და ანტონ ჩეხოვის დრამატურგიის ინტერპრეტაცია თანამედროვე ქართული, განსაკუთრებით კი პოსტმოდერნული თეატრის სცენაზე, ინტერესს იწვევს, რადგან იგი კლასიკურ დრამატურგიას თანამედროვე ქართული თეატრის მხატვრულ-ესთეტიკურ ძიებებთან აკავშირებს. მათი ტექსტები ახალ კულტურულ კონტექსტში ახალ მნიშვნელობებს იძენს, რის გამოც ეს ავტორები დღემდე თანამედროვე ქართული თეატრის აქტიურ თანამოსაუბრეებად რჩებიან.

კინომცოდნეობა

იოსიფ ასტრუკოვი,
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ეკრანული ხელოვნების განყოფილება, ხელოვნების კვლევების ინსტიტუტი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია, სოფია, ბულგარეთი

„სტრინგერის“ შემთხვევა

2025 წლის ბოლოს „ნეტფლიქსზე“ გაიმართა დოკუმენტური ფილმის, „სტრინგერი: ადამიანი, რომელმაც გადაიღო ფოტო“, პრემიერა. ვიეტნამის ომის დროს ტერმინი „სტრინგერი“ გამოიყენებოდა მრავალი თავისუფალი ფოტოგრაფის მიმართ, რომლებიც თანამშრომლობდნენ საინფორმაციო სააგენტოებთან, მათ შორის „ასოშიეიტიდ პრესთან“, და რომელთა ნამუშევრებიც ხშირად მთელ მსოფლიოში ქვეყნდებოდა.

ფილმი ეჭვქვეშ აყენებს ნიკ იუტის ემბლემური ფოტოსურათის, „ომის ტერორი“, რომელიც უფრო ფართოდ „ნაპალმის გოგოს“ სახელითაა ცნობილი, ავტორობის საკითხს. დოკუმენტური ფილმი ეფუძნება იმ მოწმეთა ინტერვიუებს, რომლებიც ამტკიცებენ - ფოტო სინამდვილეში სხვა ფოტოგრაფმა გადაიღო. ვინაიდან დამაჯერებელი მტკიცებულება არ არსებობს და მოვლენების ბევრი მთავარი მონაწილე უკვე გარდაცვლილია, ფილმი ამ მტკიცებას სრულად ვერ ასაბუთებს. თუმცა შემთხვევა იმდენად საყურადღებო აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო დისკუსია გამოიწვია და „ასოშიეიტიდ პრესს“ ოფიციალური გამოძიების დაწყებისკენ უბიძგა.

ამ გამოძიების დასკვნები განსაკუთრებით საინტერესოა, თუმცა კვლავ არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომელიც ფოტოს ავტორის ვინაობას საბოლოოდ დაადგენდა. რადგან საკითხი კვლავ ღიად რჩება, იგი წარმოშობს უფრო ფართო კითხვებსაც, რომლებმაც, შესაძლოა, სხვა ემბლემური ფოტოსურათების დამკვიდრებული ავტორობის საკითხიც ეჭვქვეშ დააყენოს. ვიეტნამის ომის პერიოდში გავრცელებული სამუშაო პრაქტიკა ათასობით სხვა ფოტოსურათის ავტორობის შესაძლო გაურკვევლობის სივრცეს ტოვებს.

ელეონორა გოგოლაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის დოქტორანტი

კრიზისის ალეგორიები თანამედროვე კინოში: კინოიგავი, როგორც გარდამავალი ეპოქის კულტურული ენა

XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო არაერთი მასშტაბური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. პანდემიებმა, ომებმა, ეკოლოგიურმა კრიზისებმა და ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებულმა ტემპმა მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის ყოველდღიურობა და სამყაროს აღქმის ფორმები. ამ პროცესებმა გავლენა მოახდინა ხელოვნებაზეც, რომელმაც ახალი რეალობის ასახვის განსხვავებული გზების ძიება დაიწყო.

თანამედროვე კინოში ერთ-ერთ ასეთ ფორმად კინოიგავი გვევლინება. თუ წარსულში იგავური ფორმა ხშირად რელიგიური, მორალური თუ პოლიტიკური იდეების გადმოსაცემად გამოიყენებოდა, დღეს ის სულ უფრო და უფრო მეტად ემსახურება თანამედროვე ადამიანის კრიზისული გამოცდილების გააზრებას. მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე რეჟისორები, რეალისტური თხრობის ნაცვლად, მიმართავენ ალეგორიას, მეტაფორას და სიმბოლურ სახეებს, რათა გადმოსცენ გაუცხოების, შიშის, დაუცველობისა და მომავლის მიმართ გაურკვევლობის განცდა.

სტატიის მიზანია თანამედროვე კინოიგავებში კრიზისის მხატვრული გამოხატვის თავისებურებების კვლევა. ყურადღება გამახვილდება იმ მხატვრულ ხერხებზე, რომელთა საშუალებითაც ფილმები სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური თუ ეგზისტენციალური პრობლემების ალეგორიულ გადააზრებას ახდენენ.

თემაში ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებს თანამედროვე კინო სიმბოლურ თხრობასა და ვიზუალურ მეტაფორებს კრიზისული რეალობის წარმოსაჩენად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ მხატვრულ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც

კრიზისი ფართო კულტურულ და ფილოსოფიურ მნიშვნელობას იძენს.

თანამედროვე კინოიგავი წარმოადგენს კულტურის ერთგვარ პასუხს გარდამავალი ეპოქის გამოწვევებზე. სიმბოლური თხრობის საშუალებით იგი გვიქმნის სივრცეს, სადაც შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოების შფოთვების, წინააღმდეგობებისა და ღირებულებითი ძიებების გააზრება.

ზვიად დოლიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

კინოს გახმოვანება: რევოლუცია, რომელმაც შეცვალა კინოკულტურა

პირველი ქრონოფოტოგრაფიების გაჩენიდან მოყოლებული, ზოგიერთი გამომგონებელი ცდილობდა მათ გახმოვანებას, მაგრამ ტექნიკურად ვერ ხერხდებოდა გამოსახულებისა და ხმის სინქრონიზაცია. 1889 წელს, აშშ-ში, თომას ედისონის თანამშრომელმა, უილიემ დიქსონმა დაამზადა კინოპროექტორი „კინეტოფონი“, რომელსაც მიუერთა „ფონოგრაფი“ (ხმის ჩამწერი და გამომცემი აპარატი) და თავისივე კომპანიის მესვეურებს წარუდგინა „მოლაპარაკე“ ფილმი, რომელშიც თავად მოჩანდა, ქუდს იხდიდა, ესალმებოდა ედისონს და ათამდე ითვლიდა. იმის გამო, რომ ასეთი სინთეზი სასურველ სინქრონს ვერ აკეთებდა, ედისონმა და დიქსონმა თავი დაანებეს ამ ექსპერიმენტს და მთელი ყურადღება გადაიტანეს მხოლოდ გამოსახულების გადამღები და საპროექციო აპარატურის გაუმჯობესებაზე.

კინოს სხვა პიონერებმაც (მაგალითად, უილიემ ფრიზ-გრინმა ბრიტანეთში, ლეონ გომონმა საფრანგეთში, ოსკარ მესტერმა გერმანიაში) მოსინჯეს მსგავსი ცდები, მაგრამ ვერცერთმა ვერ გაამართლა, ამიტომ კინოს განვითარების პირველ ეტაპზე – უხ-

მო პერიოდში ეკრანებზე გაშვებულ ფილმებს, ძირითადად, თან ახლდა მუსიკალური აკომპანემენტი, რომელსაც ასრულებდნენ ან საგანგებოდ მიწვეული პიანისტები, ან მუსიკალური ტრიოები და კვარტეტები. მოგვიანებით, როდესაც ცალკეულ ქვეყანაში აშენდა დიდი კინოთეატრები, მათში უკრავდა რამდენიმე ათეული მუსიკოსისაგან შემდგარი ორკესტრები. თავისთავად, პერსონაჟების დიალოგების გახმოვანებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. აუცილებელი დიალოგები ეკრანზე ჩნდებოდა ინტერტიტრების სახით, რათა მაყურებელი საფუძვლიანად გარკვეულიყო კინოსურათის შინაარსში.

ასე გაილია დაახლოებით 30 წელიწადი, რომლის განმავლობაში გამოსახულებისა და ხმის სწორ სინქრონიზაციაზე მუშაობა არ განელებულა, მაგრამ კინოწარმოება იმდენად მიეჩვია უხმო კინოს ესთეტიკას, რომ მისი წარმომადგენლები, მოსალოდნელი კრახის შიშით, ერიდებოდნენ გახმოვანების ნებისმიერი გამომგონებლის შეთავაზების დანერგვას.

1920-იანი წლების მეორე ნახევარში „უორნერ ბრაზერზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სემ უორნერი დაინტერესდა „ვესტერნ ელექტრიკის“ დამზადებული გახმოვანების ახლებური სისტემით და გადაწყვიტა მისი პრაქტიკაში გამოყენება. ამან დასაბამი დაუდო ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომელმაც სრულიად შეცვალა კინოკულტურა.

ვაჟა ზუბაშვილი,
აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნავთობი, როგორც ქვეცნობიერი საფრთხე ქართულკინოში

ბუნების დამორჩილება, ინდუსტრიალიზაცია, შრომის ადამიანი, პროგრესი: ეს საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვანი და ძირითადი თემები იყო, რომლებიც ყველაზე მეტად კინოხელოვნებას უნდა ეტვირთა და ეზიდა. ტექნიკური საშუალებებისა და მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ადამიანმა ბუნების არათუ დამორჩილება, არამედ გარდაქმნა დაიწყო, რამაც დღეისათვის კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ვითარდება განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები და ეკოლოგიურად ნაკლებად მავნე საწარმოო და სატრანსპორტო საშუალებები, დღევანდელ სამყაროში ძირითადი ომები ნედლეულის და, მათ შორის, ნავთობისთვის მიმდინარეობს.

საქართველოში ნავთობის მოპოვებას გარკვეული ისტორია აქვს, ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში ეს თემა მეტნაკლებად პოულობს ასახვას პირდაპირი თუ ირიბი სახით. ამავე დროს ქართულ კინოში ამ თემისადმი განსხვავებული დამოკიდებულებაც გაჩნდა, მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „დიდი მწვანე ველი“ (1967). ამ ფილმის პათოსი შეიძლება ინსპირაციაც იყო თეატრალური ინსტიტუტის ახალჩამოყალიბებული კინო ფაკულტეტის დოკუმენტური კინოს რეჟისურის მეორე კურსის სტუდენტ ალექსანდრე ქოქრაშვილისთვის, რომელმაც იგივე პრობლემა წამოსწია თავის მოკლემეტრაჟიან პირველ საკურსო დოკუმენტურ ფილმში „უდაბნო“ (1979). ამ თემას, როგორც სადიპლომო ფილმს, („უდაბნო I“ 1982) ალექსანდრე ქოქრაშვილი საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში აგრძელებს სტუდიის დირექტორ სანდრო თუშმალიშვილთან ერთად. პროექტი რამდენიმე ფილმად

იყო ჩაფიქრებული და დავით გარეჯის უდაბნოს განვითარება და აღორძინება უნდა აესახა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში, მდინარე იორის გასწვრივ და სხვა ადგილებში, კვლავ განახლდა ნავთობის საბადოების ინტენსიური ძიება და აღმოჩენა. ამ საძიებო სამუშაოებს ასახავს საქართველოს ტელეფილმების სტუდიაში გადაღებული ფილმი „ივრის კოშკები“ (1978), და ამავე პროცესზე რეფლექსიაა სტუდია „მემატიანეში“ გადაღებული ალექსანდრე ქოქრაშვილის ფილმი „ღამის ცვლა“ (1987), რომელშიც ამ საბადოების სიახლოვეს არსებული სოფლის ცხოვრებისა და საქმიანობის მოშლა და ურთიერთობების რღვევა ჩანს ურბანიზაციის შემოტევის ფონზე.

დღევანდელობა გვაჩვენებს, რომ ნავთობი, დიდ სიკეთესთან ერთად, დიდი უბედურების წყაროც შეიძლება იყოს, რადგანაც თანამედროვე წარმოება არღვევს ბუნებრივ ეკოსისტემებს და აურესებს ბიოსფეროს მდგომარეობას. გარდა ამისა, რესურსების ხელში ჩაგდებისა და გადანაწილებისთვის მიმდინარე ომებს ვხედავთ წარსულსა და აწმყოშიც. სწორედ ამ საფრთხეს გრძნობენ ნახსენები ფილმების გმირები, შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებიან და, დღევანდელი გადასახედიდან, ამ ფილმების სულისკვეთება, შესაძლოა, ბევრად აქტუალურიც იყოს.

ბილგე კალკავანი,
ასისტენტ-პროფესორი
ჰასან კალიონჯუს უნივერსიტეტი, თურქეთი
ბიულენთ ბაჰრი ქუჩუქერდოღანი,
პროფესორი
ჰასან კალიონჯუს უნივერსიტეტი, თურქეთი

კულტურის რეპრეზენტაცია თურქულ კინოსა და ტელესერიალებში: რეცეფციული ანალიზი

კინოსა და ტელეინდუსტრიაში კულტურის რეპრეზენტაცია წლების განმავლობაში სწრაფი გლობალური და ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენით გარდაიქმნა. ისტორიული მოვლენები, გლობალური პრობლემები და დიგიტალიზაცია განსაზღვრავს ეკრანზე კულტურის რეპრეზენტაციის ფორმებს. რეცეფციული ანალიზის მეთოდის გამოყენებით, კვლევა მიზნად ისახავს მონაწილეთა პერსპექტივიდან გააანალიზოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი კულტურა თურქულ კინოსა და ტელესერიალებში.

მიზნობრივი შერჩევის მეთოდით კვლევაში ჩართული იყო კომუნიკაციის მიმართულების 20 მაგისტრანტი და დოქტორანტი, რათა შესწავლილიყო მათი აღქმა ეკრანზე კულტურული ტრანსფორმაციის შესახებ. მონაცემები შეგროვდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმების გამოყენებით — პირისპირ ინტერვიუების, წერილობითი და აუდიოჩანაწერის სახით მიღებული პასუხების საშუალებით. მონაწილეებმა საკუთარი მოსაზრებები თურქული კინოსა და ტელესერიალების კონკრეტული მაგალითებით განავრცეს.

კონტენტანალიზის საფუძველზე, მთავარი თემის - „კულტურის რეპრეზენტაცია ეკრანზე“ - ფარგლებში გამოიყო შემდეგი თემები და ქვეთემები: „რეალობის რეპრეზენტაცია“; „საზოგადოებისა და ოჯახის რეპრეზენტაცია“; „პოპულარული კულტურის რეპრეზენტაცია“ (ქვეთემებით: „ასახვა“, „კონსტრუირება“ და „მარკეტინგი“); და „კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტაცია“.

კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს კვლევის ჩატარების, სოციალური სტრუქტურებისა და კულტურის გამოცდილების საფუძველზე გააზრებისა და კინოსა და ტელესერიალებში რეალობის ბუნებრივად და ავთენტურად წარმოჩენის მნიშვნელობას, რათა კულტურული ელემენტების გადაცემა უფრო ზუსტად და ეფექტიანად განხორციელდეს.

მაია ლევანიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციორებული პროფესორი

თანამედროვე ადამიანის მენტალური და სულიერი კრიზისი ქართულ კინოში

თანამედროვე კონსუმერულ ეპოქაში ადამიანის შინაგანმა სამყარომ ღრმა ცვლილებები განიცადა. მორალური, სულიერი და მენტალური ორიენტირები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის საყრდენს წარმოადგენდა, დღეს ტრანსფორმირებულია. ადამიანის ფსიქიკა მოიცვა მენტალურმა გადაღლამ, ცხოვრების აღქმის ფრაგმენტულობამ და ქაოტურმა რიტმმა. მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებამ საზოგადოება პარადოქსულ რეალობამდე მიიყვანა: აქტიური ვირტუალური კომუნიკაციისა და ხმაურიანი ციფრული ილუზიების ფონზე ინდივიდმა დაკარგა შინაგანი სიმშვიდე და სულ უფრო მეტად განიცდის უკიდურეს მარტოობას. ეს მენტალური კრიზისი პირდაპირ აისახება სულიერ განზომილებაზეც. ადამიანი „ეგზისტენციალურ ვაკუუმამდე“, გამოფიტვამდე მიდის, სადაც ცხოვრების საზრისისა და მიზნის პოვნა სულ უფრო რთულდება. ეს გლობალური პროცესი მწვავედ აისახება საქართველოზეც, რასაც თან ერთვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი. სოციალური და მენტალური კრიზისი წარმოქმნის ინდივიდის შინაგან აგრესიას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება სოციუმში.

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს მე-20 საუკუნიდან 21-ე საუკუნეზე გადასვლის პერიოდის საქართველოში სოციალური გარემოს გავლენას სულიერი კრიზისის ჩამოყალიბებაზე. პრობლემის კომპლექსურად წარმოსაჩენად, ნაშრომში გაანალიზებულია ხუთი ქართული ფილმი, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების განვითარების სრულ ციკლს ასახავენ. ფილმებში - გიგა ლიკლიკაძის „ღორი“ და სოსო ბლიაძის სურათში „ოთარის სიკვდილი“ - მკაფიოდ ვლინდება ღირებულებათა კრიზისი, სადაც სოციალური სიდუხჭირე აყალიბებს ქცევის სტანდარტს და მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამართლებულია.

ეს თემა უფრო ღრმავდება ვახო ჯაჯანიძის ფილმში „სულიერი არსებები“, სადაც პოსტპანდემიური რეალობა საზოგადოების ტოტალურ გაუცხოებასა და სოციალურ იზოლაციას იწვევს. გარეგნული კეთილდღეობით შენიღბული პერსონაჟები სინამდვილეში ღრმა შინაგან, სულიერ კრიზისს განიცდიან - ისინი გაუცხოებულნი არიან როგორც საკუთარი თავის, ისე გარშემომყოფების მიმართ და ეძებენ ზედაპირულ ურთიერთობებს, რომლებიც ვერ ავსებენ არსებულ ვაკუუმს. ფილმში კოლხეთის ჭაობის ნისლიანი ვიზუალი ამ ადამიანების სულის გამოფიტვის სიმბოლოა, სადაც იზოლაციის გამო თანაგრძნობის უნარი სრულად ატროფირებულია.

ამ ფონზე, ნაშრომი სვამს ფუნდამენტურ კითხვას: რა არის გამოსავალი შექმნილი კრიზისიდან? ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“, ასევე ელენე ნავერიანის „შაშვი შაშვი მაყვალი“, წარმოაჩენენ ქალი პერსონაჟების ბრძოლას კოლექტიურ კონტროლთან. მთავარი გმირების მიერ ავტონომიისა და პირადი სივრცის ძიება საზოგადოებრივი სტერეოტიპების მსხვრევის მანიფესტაციად გვევლინება.

საბოლოოდ, შესაძლოა ითქვას, რომ XXI საუკუნის ქართული კინემატოგრაფი რეალისტური ესთეტიკით აშიშვლებს საზოგადოებრივ ტკივილს და აჩვენებს, რომ კრიზისიდან თავის დაღწევა მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღებითაა შესაძლებელი. თუმცა, როდესაც გადარჩენის ლოგიკა სრულად ანაცვლებს მორალურ-ზნეობრივ არჩევანს, ეს გარდამავალი, სულიერად გამოფიტული ეტაპი საზოგადოების მუდმივ, უცვლელ მდგომარეობად იქცევა.

მანანა ლეკბორაშვილი,
კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი,
ხელოვნებათმცოდნეობს დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჰოლივუდი ომისშემდგომი გამოწვევების პირისპირ

ჰოლივუდს კინემატოგრაფის არსებობის გარიჟრაჟზე ეყრება საფუძველი, როდესაც ედისონის პატენტების კომპანიის დიქტატს გაქცეული კინომრეწველების ნაწილი კალიფორნიას აფარებს თავს. მათი მთავარი მიზანი წარმატებული ბიზნესი იყო და ამ მიზნის მისაღწევად ისინი აყალიბებენ როგორც საწარმოო, ისე შემოქმედებით სისტემას. შემდგომში პირველს სტუდიურ ერას უწოდებენ, მეორეს კი – კლასიკურ ჰოლივუდს.

30 წელიწადზე მეტი ჰოლივუდი სრული კომფორტის ზონაში მუშაობდა და ქმნიდა. დაბრკოლებები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ჰოლივუდი მათ გონივრულად უმკლავდებოდა.

თუმცა მეორე მსოფლიო ომი ყველაფერს ცვლის. ინდუსტრიული, სოციალური და ესთეტიკური კრიზისების თანამიმდევრული ერთობლიობა კინომწარმოებლებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

სტატიაში განხილულია ის გამოწვევები და წინაპირობები, რომლებმაც აიძულა ჰოლივუდი წარმოების ახალ მოდელზე გადასულიყო და სტილის განახლებაზეც ეზრუნა. თუმცა ეს უცბად არ მომხდარა. ჰოლივუდის მამებს კომფორტის ზონიდან გამოსვლა არ სურდათ, თუმცა ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მიმდინარე მოვლენებს და უკვე რეალური კონკურენტების ქმედებებს. პირველ რიგში, ეს დამოუკიდებელი სტუდიებია, რომლებიც შეცვლილი პირობების ფონზე აღმავლობას განიცდიან. წარმატების საფუძველი მათი ენერგიულობა და მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების უნარია მცირებიუჯეტიან წარმოებასთან ერთად.

ჰოლივუდი თავისი მასშტაბური სტუდიებისა და მათი მართვის სპეციფიკის გამო, ყველა ამ კომპონენტში აგებს დამოუკიდებლებთან. ის მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის წარმოების წესებს (ძირითადად გარედან ზეწოლის გამო), აფართოებს ჰეისის კოდექსის საზღვრებს და ასუსტებს მასზე კონტროლს, ფრთხილ ნაბიჯებს დგამს ახალი თემების და ახალი აუდიტორიის ასათვისებლად (ნიკოლას რეის „მიზეზგარეშე ამბოხებული“ (1955) ან ლასლო ბენედეკის „ველური“ (1953), მაგალითად), თუმცა არც ნაცად გზაზე ამბობს უარს და მკვეთრად ზრდის მაღალბიუჯეტიანი, სანახაობრივი ფილმების რიცხვსაც და ტექნიკურ ხარისხსაც.

კრიზისიდან გამოსასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჰოლივუდს ორი ათწლეული დასჭირდა გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად. 1968 წელს ჰეისის კანონი საბოლოოდ გაუქმდა; რეჟისორებმა და პროდიუსერებმა მეტი უფლებები და თავისუფლება მოიპოვეს, ისინი აღარ არიან უბრალოდ სტუდიის დაქირავებული მუშაკები, სტუდიებმა გზა გაუხსნა ახალ ავტორებს.

ამ ფონზე გამოდის ეკრანებზე ართურ პენის „ბონი და კლაიდი“ (1967), მაიკ ნიკოლსის „კურსდამთავრებული“ (1967), დენი ჰოპერის „უდარდელი მხედარი“ (1969) - ფილმები, რომლებიც „ჰოლივუდის რენესანსის“ საწყის ფილმებად ითვლება, თუმცა აქვეა ჯორჯ როი ჰილის „ბუჩ კესიდი და სანდენს ქიდი“ (1969), სემ პეკინპას „ველური ბანდა“ (1969) და სხვა. იბადება „ახალი ჰოლივუდი“, რომლის ფილმებიც თემებითა და პრობლემებით, სტილითა და დრამატურგიით, პერსონაჟებითა და მსახიობებით რადიკალურად განსხვავდება „კლასიკური ჰოლივუდის“ ჩამოყალიბებული მოდელებისგან და დღემდე ინარჩუნებს „თანამედროვე“ სახეს.

ანდრონიკა მარტონოვა,
დოქტორი, პროფესორი
ეკრანული ხელოვნების განყოფილება
ხელოვნების კვლევების ინსტიტუტი, ბულგარეთის
მეცნიერებათა აკადემია (IAS–BAS), სოფია, ბულგარეთი

მეხსიერებიდან გამოცდილებამდე: ზღვრის გადალახვა კინოარქივიდან ცოცხალ არქივამდე

ცოდნის არქეოლოგიაში მიშელ ფუკო არქივს განიხილავს არა მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტების კრებულს, არამედ როგორც სისტემას, რომელიც განსაზღვრავს პირობებს, თუ როგორ ხდება ცოდნა ხილული, როგორ ინახება და როგორ ინტერპრეტირდება. ამ პერსპექტივიდან კინოარქივი ბევრად სცდება აუდიოვიზუალური მემკვიდრეობის საცავის ტრადიციულ ფუნქციას. იგი იქცევა დინამიკურ სივრცედ, რომელშიც კულტურული მეხსიერება მუდმივად კონსტრუირდება, წყდება, გადაიხედება და ხელახლა აქტიურდება. ადრეული ბულგარული კინოს ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ მეხსიერება არასოდეს არის სტატიკური და იგი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციების გავლენით იცვლება.

მოხსენება ბულგარული კინოს პიონერთა ისტორიას ცვლილებათა რამდენიმე თანმიმდევრული ზღვრის გავლით განიხილავს და წარმოაჩენს, თუ როგორ იცვლებოდა არაერთხელ მათი ადგილი ეროვნულ კულტურულ მეხსიერებაში XX და XXI საუკუნეების განმავლობაში. პირველი ასეთი ზღვარი ადრეული სოციალისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩნდება, როდესაც ბულგარული კინოს პიონერები თანდათან მარგინალიზდებიან, როგორც „ბურჟუაზიული“ კინემატოგრაფიული ტრადიციის წარმომადგენლები, და დიდწილად გამოირიცხებიან ოფიციალური ისტორიული ნარატივიდან. მათი ფილმები მიმოქცევიდან ქრება, ხოლო მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ძირითადად ფრაგმენტული საარქივო კოლექციების სახით რჩება.

მეორე ზღვარი გვიანი სოციალისტური პერიოდის განმავლობაში იკვეთება, როდესაც ეს პიონერები თანდათან კვლავ

ჩნდებიან კინოს ისტორიოგრაფიაში. თუმცა მათი დაბრუნება, ნამდვილი ისტორიული რეაბილიტაციის ნაცვლად, იდეოლოგიური რეინტერპრეტაციით მიმდინარეობს. დავიწყებული ბიოგრაფიებისა და ნაწარმოებების აღდგენის ნაცვლად, ოფიციალური დისკურსი მათ მნიშვნელობას იმ დროის დომინანტური კულტურული პოლიტიკის შესაბამისად ახლებურად განსაზღვრავს.

1989 წლის შემდგომი დემოკრატიული გარდამავალი პერიოდი კიდევ ერთ ტრანსფორმაციას იწვევს. წინა იდეოლოგიური პარადიგმების უარყოფას ხშირად თვით საარქივო მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უგულებელყოფაც მოჰყვება. ამ პერიოდში მრავალი კოლექცია სათანადოდ დაუმუშავებელი, არაკატალოგიზებული და შეუსწავლელი რჩება, ხოლო ადრეული ბულგარული კინო კვლავ პერიფერიულ ადგილს იკავებს საზოგადოების კულტურულ ცნობიერებაში.

ახალი ათასწლეულის დასაწყისი მეოთხე ზღვარს აღნიშნავს. დიგიტალიზაცია, მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ინიციატივები, ციფრული ჰუმანიტარია და ახალი საარქივო მეთოდოლოგიები უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქმნის მივიწყებული კოლექციების ხელახლა აღმოჩენის, დაკარგული ფილმების რეკონსტრუქციისა და ადრეული კინოს ისტორიის კრიტიკული გადააზრებისთვის. არქივი აღარ აღიქმება მხოლოდ შენახვის ადგილად და სულ უფრო მეტად იქცევა ინტერპრეტაციის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მონაწილეობის პლატფორმად.

ამ ისტორიულ ფონზე მოხსენება განიხილავს „იმერსიული არქივის“ (Immersive Archive) კონცეფციას, როგორც აუდიოვიზუალური მემკვიდრეობის განვითარების ახალ ეტაპს. პასიური საცავის ნაცვლად, არქივი იქცევა ინტერაქტიურ გარემოდ, რომელშიც ისტორიული ცოდნის გამოცდილებად ქცევა შესაძლებელია ვირტუალური რეალობის (VR), გაფართოებული რეალობის (XR) და აუგმენტირებული რეალობის (AR) საშუალებით. ციფრული ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ დაკარგული ფილმებისა და საარქივო დოკუმენტების რეკონსტრუქციას, არამედ იმ ფართო კულტურული ეკოსისტემის აღ-

დგენასაც, რომელშიც ადრეული კინო თავდაპირველად არსებობდა.

ვასილ და ჟანა გენდოვების მაგალითზე მოხსენება ბულგარული კინომემკვიდრეობის იმერსიული ინტერპრეტაციის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. მათ შორისაა ადრეული კინოთეატრების, XX საუკუნის პირველი ათწლეულების სოფიის ურბანული ლანდშაფტისა და ატმოსფეროს ციფრული რეკონსტრუქცია, აგრეთვე მაყურებლის გამოცდილების აღდგენა აფიშების, პროგრამების, ფოტოების და შემორჩენილი საარქივო დოკუმენტაციის საშუალებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული ხმოვანი გარემოს რეკონსტრუქცია: გრამფირფიტებზე შემონახულმა მუსიკალურმა თანხლებამ, იმდროინდელმა კინოჩვენების პრაქტიკებმა და სხვა შემორჩენილმა აუდიომასალებმა შეიძლება ხელი შეუწყოს იმ აკუსტიკური გარემოს აღდგენას, რომელშიც მუნჯი ფილმები თავდაპირველად იყო წარმოდგენილი. გენდოვების დაკარგული ფილმების გადასაღებ მოედანზე გადაღებულ ფოტოებთან, სცენარებთან, მემუარებსა და პრესის რეცენზიებთან ერთად, ეს წყაროები ქმნის შესაძლებლობას, აღდგეს არა მხოლოდ ცალკეული ფილმები, არამედ ადრეული კინოს გარშემო არსებული კულტურული გამოცდილებაც.

მოხსენების თანახმად, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები ყურადღებას ცალკეული საარქივო ობიექტების შენარჩუნებიდან რთული კულტურული გარემოს რეკონსტრუქციისკენ მიმართავს. საარქივო დოკუმენტების უბრალოდ დათვალიერების ნაცვლად, აუდიტორიას შესაძლებლობა ეძლევა კვლავ შევიდეს ისტორიულ კინოსივრცეებში, შეხვდეს მივიწყებულ პიროვნებებს, განიცადოს რეკონსტრუირებული კინოჩვენებები და უშუალოდ შეეხოს იმ მრავალშრიან პროცესებს, რომელთა გავლითაც კულტურული მეხსიერება ყალიბდებოდა, იდევნებოდა, ხელახლა იწერებოდა და კვლავ აღმოჩნდებოდა.

საბოლოოდ, მოხსენება გვთავაზობს „იმერსიული არქივის“ კონცეფციიდან „ცოცხალი არქივის“ (Living Archive) კონცეფციისკენ გადასვლას. ამის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია იაპონური ბენშის (benshi) ტრადიცია: მუნჯი ფილ-

მების უბრალო თანხლების ნაცვლად, ბენშის შემსრულებლები ახდენდნენ ნარატივის ინტერპრეტაციას, ახმოვანებდნენ პერსონაჟებს და შუამავლის როლს ასრულებდნენ აუდიტორიის ემოციურ და კულტურულ გამოცდილებაში. ამგვარი წარმოდგენების რეკონსტრუქციის თანამედროვე მცდელობები გვიჩვენებს, რომ კინომემკვიდრეობის დაცვა მხოლოდ ვიზუალური გამოსახულების აღდგენას არ გულისხმობს. იგი ასევე მოითხოვს ისტორიული კინოჩვენების ფორმების, ეპოქის საშემსრულებლო პრაქტიკებისა და მაყურებლის გამოცდილების რეკონსტრუქციას.

ამგვარი გაგებით, არქივი წყვეტს ისტორიული მტკიცებულებების სტატიკური საცავის ფუნქციას და იქცევა აქტიურ, განვითარებად კულტურულ გარემოდ, რომელშიც კვლევა, ციფრული ტექნოლოგიები, ისტორიული რეკონსტრუქცია და საზოგადოების მონაწილეობა მუდმივად ურთიერთქმედებს. ვასილ და ჟანა გენდოვების მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ იკვეთება ისტორიული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციები კინომემკვიდრეობის ხელახალი გააქტიურების პროცესში და როგორ გარდაიქმნება საარქივო მეხსიერება ცოცხალ კულტურულ გამოცდილებად. ანალოგურ ისტორიასა და ციფრულ ინოვაციას შორის არსებულ ზღვარზე „ცოცხალი არქივი“ გვთავაზობს ადრეული კინოს, როგორც მულტისენსორული კულტურული მოვლენის, შენარჩუნების, ინტერპრეტაციისა და გამოცდილების ახალ გზებს მომავალი თაობებისთვის.

ლელა ოჩიაური,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

გონება, როგორც ვნება - ერთი და იგივე და სხვადასხვა დროს

დრო და ეპოქა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ პერსონალურ გარდატეხებს, ცვლილებებს იწვევს და შემდგომ, ეს ყველაფერი განსაზღვრავს საზოგადოების, ინდივიდების, სახელმწიფოებრივ ცვლილებებსა და განვითარების, გარდაქმნების, ახალი სინამდვილის ყოველ მომდევნო ეტაპს. ხელოვნება, კინო ამ პროცესების ორგანული ნაწილი და გარდაქმნების, პროგრესისა და რეგრესის, ევოლუციისა და რევოლუციის, კრიზისისა და ახლის დაბადების მონაწილე და გამომხატველია.

საუბარია არა მხოლოდ ხელოვნების ინტელექტუალიზაციაზე, ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის ფილოსოფიური პრობლემატიკით გავსებაზე ან ფორმის გართულებაზე, არც ფილოსოფიური კონცეფციების მარტივ ილუსტრაციაზე მხატვრული ხერხებით, არამედ, რთულ დიალექტიკურ პროცესზე, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების სპეციფიკას უკავშირდება და გამოხატავს.

პარალელურად, ტექნიკური პროგრესი და ყოფითი პირობების განვითარება - განსაზღვრავენ კინოენის ძიებას, ჩამოყალიბების, გართულებისა და გამრავალფეროვნების პროცესებს. რაც კინოტექნიკის გამოგონებისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მხატვრული შემოქმედება, სოციოლოგიისა და ფილოსოფიისგან განსხვავებით, ცხოვრების მრავალსახეობას გადმოსცემს. ხელოვნება ფასდება არა მხოლოდ დროის ინტერვალების „აღნუსხვით“, არამედ, დროის დინამიზმის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის დიალექტიკაზე დაკვირვებით, „ობიექტური და სუბიექტური“ დროის შესწავლითა და ანალიზით. იგულის-

ხმება საზოგადოებრივი აზრის ღრმა კანონზომიერებების განვითარება, რომელიც ცნობიერების განვითარების ფორმებშია მოქცეული, და მრავალსახეობრივ, ბუნებრივ და სინამდვილის მთელ სისტემაში აისახება.

ასახავს თუ არა, ქართული კინო XXI საუკუნის 20-იან წლებში - ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ვითარებასა და ტენდენციებს; აღბეჭდავს თუ არა რეალობას? რა თავისებურებები და ნიშნებია მისთვის დღეს დამახასიათებელი? როგორია თანამედროვე საზოგადოებისა და ცხოვრების მხატვრული ანაბეჭდი და შეიძლება თუ არა პარალელების, საერთოს მოძებნა XX საუკუნის 60-იანი წლებთან, როდესაც ახალმა - 60-იანელთა თაობამ „ახალი კინო“, აზროვნების ახალი ფორმა, ახალი „ქცევის წესები“ ჩამოაყალიბა, პოლიტიკური „კანონზომიერება“ დაარღვია და რეჟიმს დაუპირისპირდა?!

მადალინა ანდრეა პაუნი,
ი. ლ. კარაჯიალეს სახელობის თეატრისა და
კინოს ეროვნული უნივერსიტეტი, ბუქარესტი, რუმინეთი

რატომ ჰგავს ყველა თანამედროვე ფილმი ერთმანეთს? ვიზუალური ჰომოგენიზაცია და კინემატოგრაფიის ციფრული ტრანსფორმაცია

ანალოგურიდან ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლა კინოწარმოების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში კინოწარმოების ტექნიკის განვითარებამ, სტრიმინგპლატფორმების ტექნიკურმა და ესთეტიკურმა სტანდარტებმა, ვირტუალურმა წარმოებამ და პოსტპროდუქციის სამუშაო პროცესებმა შეცვალა კინემატოგრაფიული გამოსახულების შექმნის გზები. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგია თითქმის შეუზღუდავ ვიზუალურ შესაძლებლობებს იძლევა და კინემატოგრაფისტებს გამოსახულების თითოეულ

დეტალზე კონტროლის მაღალი ხარისხი აქვთ, მეინსტრიმული კინო ხშირად ვიზუალური რეპრეზენტაციის უფრო ვიწრო ფორმისკენ იხრება. შედეგად, ბევრი მაყურებელი თანამედროვე ფილმების ვიზუალურ სახეს სულ უფრო მეტად მსგავსად აღიქვამს.

კინემატოგრაფიის ამგვარი აღქმული ჰომოგენიზაცია მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს ტექნოლოგიურ ინოვაციასა და მხატვრულ გამომსახველობას შორის ურთიერთმიმართების შესახებ. კინოს წინა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარდაქმნებისგან – როგორიც იყო ხმის, ფერისა და ფართო ეკრანის ტექნოლოგიების დანერგვა და რომლებმაც ახალი ვიზუალური ენები წარმოშვა – განსხვავებით, თანამედროვე სტანდარტიზაციის თავისებურება ისაა, რომ იგი ესთეტიკურ კონვერგენციას წარმოქმნის და ნაკლებ სივრცეს ტოვებს მრავალფეროვნებისა და ორიგინალურობისთვის.

მოხსენების მიზანია გაარკვიოს, ციფრული კინოწარმოების გაფართოებული შესაძლებლობების მიუხედავად რატომ იძენს თანამედროვე ფილმების ვიზუალური სახე სულ უფრო ერთგვაროვან და განმეორებად ხასიათს. ამასთანავე, კვლევა განიხილავს, რას გვიჩვენებს ეს პარადოქსი – ტექნოლოგია, ესთეტიკასა და კინემატოგრაფიულ რეალიზმს შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნული საკითხები გაანალიზებულია კინოს თეორიაზე დაყრდნობით, თანამედროვე კინოში განმეორებადი ვიზუალური კონვენციებისა და მათი განმსაზღვრელი ტექნოლოგიური პირობების გათვალისწინებით.

ანალიზი აჩვენებს, რომ ციფრული კინო სულ უფრო მეტად ანიჭებს უპირატესობას სიმულაციას ფოტოგრაფიულ რეპრეზენტაციასთან შედარებით. შედეგად წარმოქმნილი „კინეატოგრაფიული სახე“ კვლავწარმოებად პროდუქტად იქცევა, რომელსაც ნაკლებად განსაზღვრავს ინდივიდუალური მხატვრული არჩევანი და უფრო მეტად – სტანდარტიზებული საწარმოო პრაქტიკა, რაც ფილმებში უფრო ერთგვაროვანი ვიზუალური ენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ვიზუალური ჰომოგენიზაციის გააზრებით, არა მხოლოდ როგორც სტილისტური ტენდენციის, არამედ როგორც ციფრული

ტრანსფორმაციის კულტურული შედეგისა, ეს მოხსენება ერთვება თანამედროვე დისკუსიაში კინემატოგრაფიული რეპრეზენტაციის ცვალებადი ბუნებისა და კინემატოგრაფიის მომავლის შესახებ.

ქეთევან ღონღაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფესორი ზვიად დოლიძე

როკ-მუსიკა, კინო და კონტრკულტურა

(ახალი აუდიოვიზუალური ენის ფორმირება 1960–1970-იანი წლების ამერიკულ კინოში)

1960–1970-იანი წლების ამერიკული კინო არა მხოლოდ სოციალური პროცესების მამხილებელი, არამედ ახალი აუდიოვიზუალური ენის სტილის დამამკვიდრებელიც გახდა. როკ-მუსიკის დაკავშირება კინემატოგრაფთან არ ყოფილა შემთხვევითი, ეს იყო კონტრკულტურული აფეთქების პირდაპირი გამოხატვა, რომელმაც ეკრანული თხრობის ტრადიციული პრინციპები დაარღვია და ფილმი რეალობის იმპროვიზებულ სარკედ აქცია.

როკ-მუსიკა იყო „მშფოთვარე ახალგაზრდობის“ პროტესტის ხმა. კინოსთვის ის გახდა ყველაზე საინტერესო გზა მაყურებელთან ემოციური კავშირის დასამყარებლად. ამა თუ იმ ფილმში როკ-მუსიკის გაჟღერება წარმოადგენდა მკაფიო სიგნალს აუდიტორიისათვის, რომ იმ ეპოქის ახალგაზრდულ მუსიკას და კინოს ერთი საერთო რამ ამოძრავებდა – არსებული სისტემის წინააღმდეგ მიმართული აღშფოთება.

დონ ალან პენებეიკერის დოკუმენტურ ფილმში, „მონტერეი პოპი“ (1968) და მაიკლ უოდლის ასევე დოკუმენტურ კინოსურათში „ვუდსტოკი“ (1970) კინოკამერა აღმოჩნდა კონტრკულტურის ეპიცენტრში და მუსიკალურ ფესტივალს ისეთივე მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც ისტორიულ მოვლენას. ამ ფილმებში, მუსიკა და კინო განუყოფელ მთლიანობად იქცა, სადაც მათი,

როგორც დროის ნათელი მამხილებლების, კულტურული მნიშვნელობა ერთმანეთს ტოლს არ უდებდა. თუკი „ვუდსტოკი“ იყო კონტრკულტურის მწვერვალი, ჰარმონია და კოლექტიური ერთობა, ალბერტ და დეივიდ მეიზელზებისა და შარლოტ ზვერინის ნამუშევარი, „შემიფარე“ (1970), გამოდგა ამავე კულტურის ოპტიმისტური შემართების ტრაგიკული დასასრული.

აღნიშნულმა ტენდენციამ მხატვრულ კინოშიც შეაღწია. დენის ჰოპერის „უდარდელ მხედარში“ (1969) როკ-მუსიკა შინაარსის მთავარ მთხრობელად იქცა, სადაც რიტმმა და მელოდიამ მონტაჟის დინამიკას ექსპრესიულობა შემატა. ნორმენ ჯუისონის როკ-ოპერა „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“ (1973) გადაიქცა ჟანრული სინთეზის რადიკალურად განსხვავებულ მაგალითად, სადაც რელიგიური თემატიკა კონტრკულტურულ ესთეტიკას შეიცავდა, ხოლო მილოშ ფორმანის მიუზიკლი „თმა“ (1979) აუდიოვიზუალური ენის კულმინაციას წარმოადგენდა. სიმღერა „მერწყული/შემოუშვი მზის შუქი“, რომელიც 1967–1969 წლების ჰიპების მოძრაობის ჰიმნად მიიჩნეოდა, ფორმანმა ამ ფილმშიც გამოიყენა და ამით მიუთითა როგორც ჰიპების პროტესტის გარდასახვაზე კინემატოგრაფიულ ენად.

აღნიშნული კინოსურათები იმის ნათელი ნიმუშია, თუ როგორ გახდა როკ-მუსიკა და კინოენა საერთო აზრისა და იდეის გამომხატველი. მათში მსახიობების დიალოგები უფრო ნაკლებს ამბობდნენ, ვიდრე სიმღერების ტექსტები. მაშინდელი ამერიკული კინო წარმოადგენდა არა მხოლოდ დროის ქრონიკას, არამედ ცვლილებების ზღვარზე მყოფი კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს. ამან ნაწილობრივ დაარღვია კინოესთეტიკის ტრადიციული საზღვრები და შექმნა განსხვავებული რეალობა, რომელიც უშუალოდ ეკრანიდან პასუხობდა ეპოქის პოლიტიკურსა და სოციალურ ძვრებს.

მარიან ცუცუი,
სრული პროფესორი, კინომცოდნეობა,
ჰიპერიონის უნივერსიტეტი, ბუქარესტი, რუმინეთი

იონ პოპესკუ-გოპო და 1957 წელს კანში მის მიერ მოპოვებული „ოქროს პალმის“ მნიშვნელობა

2027 წელს 70 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც რუმინულმა ფილმმა კანის კინოფესტივალზე „ოქროს პალმა“ მოიპოვა. ეს იყო იონ პოპესკუ-გოპოს (1923–1989) ანიმაციური ფილმი „მოკლე ისტორია“, რომელმაც ყველა გააოცა, მათ შორის რუმინეთის ხელისუფლებაც, ასევე, სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკა დაამკვიდრა, რომლის კანონებიც ოფიციალურად მხოლოდ 1968 წელს უარყვეს.

დიდი ფრანგი კინოისტორიკოსი ჟორჟ სადული ახალგაზრდა რუმინელი კინემატოგრაფისტის მიღწევას (გოპო მაშინ 34 წლის იყო!) ასე გამოეხმაურა: „მისი ფილმი ათ წუთში უყრის თავს პოეტურ იდეებს, იუმორით, რიტმითა და წარმოსახვით სავსე ამბავში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი ფილმი არაფრით არის დავალებული არც დიზნისგან, არც გრიმოსგან, არც ჩეხოსლოვაკიური და არც საბჭოთა სკოლისგან. ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი კანის აღმოჩენა გახდა, რაც დიდი ჯილდოს ბრწყინვალებით უნდა აღნიშნულიყო“.

თავის მხრივ, იონ პოპესკუ-გოპო საკუთარ მხატვრულ სიახლეს ასე ხსნიდა: „როდესაც მივხვდი, რომ მის ტექნიკურ სრულყოფილებას ვერ გავუტოლდებოდი, ანტიდიზნის ფილმების კეთება დავიწყე. ასე რომ: სილამაზე – არა, ფერი – არა, სინაზე – არა. ერთადერთი სფერო, რომელშიც მასთან დაპირისპირება შემეძლო, სიუჟეტი იყო“.

ასე დაიბადა პატარა კაცი – შიშველი და რამდენიმე ხაზით მონიშნული პერსონაჟი, რომელიც, მიუხედავად ამისა, სრულად გამოხატავდა თანამედროვე სამყაროს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა კოსმოსის ათვისება და ბირთვული ბომბის საფრთხე. მისმა მომდევნო ანიმაციურმა ფილმმა „შვიდი ხელოვნება“, რომელიც შვიდი ხელოვნების წარმოშობას გამომ-

გონებლურად და კომიკურად წარმოაჩენს, მომდევნო წელს ტურსის კინოფესტივალის მთავარი პრიზიც მოიპოვა.

იონ პოპესკუ-გოპომ თავი დაიმკვიდრა სამეცნიერო ფანტასტიკის კინოს ოსტატად და, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ანიმაციის გამორჩეულ ოსტატად, რომლის განუმეორებელი სტილი აერთიანებს ნახატის სიმარტივეს, იუმორსა და კაცობრიობის წარსულისა და მომავლის ორიგინალურ ხედვას. მისი შემოქმედების აღიარებას ადასტურებს ის საპატიო თანამდებობებიც, რომლებიც მას ეკავა: რუმინეთის კინემატოგრაფისტთა გილდიის პრეზიდენტი (1969–1989) და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1958–1989).

იონ პოპესკუ-გოპომ გზა გაუხსნა რუმინული კინოს სხვა ადრეულ წარმატებებსაც კანში: 1965 წელს ლივიუ ჩიულეიმ ფილმისთვის „ჩამოხრჩობილთა ტყე“ საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მოიპოვა; 1966 წელს მირჩა მურეშანმა ფილმისთვის „აჯანყება“ საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მიიღო; ხოლო 1969 წელს მირელ ილიეშუმ დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმით „რენესანსის სიმღერები“ კიდევ ერთი „ოქროს პალმა“ მოიპოვა.

ხელოვნებათმცოდნეობა

ირინე აბესაძე,
ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი, ემერიტუსი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიული დეტალების ვიზუალური განსახოვნება ახალმიკვლეულ გრაფიკულ ჩანახატებში

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, იოსებ იმედაშვილის პირად არქივში დაცულია ერთი მეგობრული შარჟი, რომლის ავტორის ვინაობის დადგენა მუზეუმის თანამშრომლებმა ვერ მოახერხეს, რადგან მხატვრის ხელმოწერა ერთობ დაშიფრული აღმოჩნდა. სავარაუდოდ, თვით ავტორის მიერ ნახატის ქვემოთ გაკეთებული ჩანაწერი დამეხმარა ნაწარმოების ავტორის იდენტიფიცირებაში და შესაძლებლობა მომცა ხელმოწერის ატრიბუცია მომეხდინა. ეს ცნობილი მხატვრის, ალექსანდრე ციმაკურიძის ნახატი აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს სახელისა და გვარის ინიციალებს შორის ჩაწერილი მხატვრის მამის სახელი. აღნიშნულ შარჟს, რომელიც შესრულებულია ქაღალდზე ფანქრით, ქვემოთ აწერია: „პროფესორი ივანე ჯავახიშვილი“ და შესრულების თარიღი – 1927 წლის 18 იანვარი. ნახატზე გამოსახულია ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში მაგიდასთან მჯდომი, ხოლო ფონად კედელზე დაფაა. ის, რომ მხატვარი ნახატის შესრულების ზუსტ თარიღს უთითებს, ჩვენი კვლევა-ძიებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თავისსავე დაფუძნებული უნივერსიტეტიდან გაგდებულ ივანე ჯავახიშვილს, მისი ნასტუდენტარი, ლევან ტიტვინიძის მოგონების მიხედვით (გამოქვეყნდა ჟურნალი „კავკასიონი“, პარიზი,1968, № 12), 1927 წლის 18 იანვარს მოუწია უნივერსიტეტში მისვლა, სიმონ ყაუხჩიშვილის დისერტაციის დაცვაზე, ოფიციალური ოპონენტის რანგში. იმავე ლევან ტიტვინიძის მოგონებით, ივანე ჯავახიშვილი რეცენზიის წასაკითხად მაგიდას მიუჯდა თუ არა, იქ დამსწრე სტუდენტობამ დევნილ პროფესორს ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა.

კერძო კოლექციაში დაცული მეორე გრაფიკული ჩანახატი ეკუთვნის ლადო გუდიაშვილს. მხატვრისათვის დამახასიათებელი შავი კონტურული ხაზის საოცარი პლასტიკური ექსპრესიით ქაღალდის სასურათე სიბრტყეზე აღბეჭდილია ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის წარმოსადეგი, არისტოკრატული გარეგნობა.

სრულიად განსხვავებულია ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში დაცული მხატვარ იორამ იმედაშვილის გრაფიკული ნამუშევარი, სადაც ივანე ჯავახიშვილი ხოვლელი ახალგაზრდების გარემოცვაშია წარმოდგენილი. ივანე მეგობრის, პედაგოგ ივანე ნიჟარაძის მოგონებით, ჯავახიშვილი ზაფხულობით ხშირად სტუმრობდა ხოვლეს, საკუთარ სახლში ახალგაზრდობას შეკრებდა და მათ ხოვლეს სიძველეებზე, ისტორიის საკითხებზე ესაუბრებოდა. ამ თავყრილობაზე ახალგაზრდები, თურმე, რეფერატებს წერდნენ. სწორედ ეს თავყრილობა ასახა მხატვარმა აღნიშნულ გრაფიკულ ნახატში. დიდი მეცნიერის სახელთან დაკავშირებული ეს ჩანახატები კი, დროის ცვლილებათა ზღვარზე მყოფი მარადიული კულტურული ღირებულებებია.

ნოდარ არონიშიძე,
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
დოქტორანტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესია
(კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობა და მისი განადგურების ისტორია)

2026 წლის 13 ივნისს ინფორმაცია გავრცელდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ზღუდერის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე უნებართვო სამუშაოების წარმოების შესახებ. ჩუბინაშვილის ცენტრის მეცნიერს ძამას ხეობაში, სოფელ ზღუდე-

რის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი ადრეული ნაგებობა განადგურებული დახვდა, ხოლო იმავე ადგილზე დაწყებული იყო ახალი ტაძრის მშენებლობა – დასხმული იყო რკინაბეტონის ცოკოლი და მასზე ამოყვანილი იყო რამდენიმე მეტრის სიმაღლის კედლები თანამედროვე მასალით, ბეტონის საკედლე ბლოკებით.

ზღუდერის ეკლესია მოიცავდა სამ სამშენებლო ფენას – თავდაპირველი ტაძარი, რომლის აგების თარიღადაც მეცნიერები VI-VII საუკუნეებს მიიჩნევენ, სამნავიანი ბაზილიკის ტიპს წარმოადგენდა. X საუკუნეში ადრეული ეკლესია გადაკეთდა „სამეკლესიიან ბაზილიკად“, თუმცა ჩანს, რომ ოსტატს ტაძრის ძირითადი კონტური და მისი პროპორციები შეუნარჩუნებია. ეკლესიის აღდგენისა და გადაკეთების პროცესის ანალიზი ცხადყოფს მეორედ მაშენებლის სურვილს, გაითვალისწინოს, გაიაზროს და მაქსიმალურად შეინარჩუნოს თავდაპირველი მშენებლობის ფენები. როგორც ჩანს, XIII-XIV საუკუნეებში ტაძარი მცირედ შეაკეთეს.

აღსანიშნავია, რომ ზღუდერის „სამეკლესიიანი ბაზილიკის“ კედლებზე, ინტერიერსა თუ ექსტერიერში შემორჩენილი იყო ყველა სამშენებლო პერიოდის რელიეფური გამოსახულებები – VI-VII საუკუნეების განედლებული ჯვრისა და როზეტის კვეთილობები; ცენტრალური სივრცის სამხრეთი კარის თავზე არსებული ტიმპანის ქვა, რომელიც X საუკუნით თარიღდება, და XIII-XIV საუკუნეების აღმოსავლეთ სარკმლის საპირე მოჩარჩოება. ძალზე მნიშვნელოვანია ზღუდერის ეკლესიის ძირითად კედლებში მოქცეული უმნიშვნელოვანესი ასომთავრული წარწერები, რომელთა სრული შინაარსის ამოკითხვა, დაზიანებათა გამო, ვერ მოხერხდა, თუმცა ნაკლული სიტყვები და გრაფემები გაშიფრული და წაკითხული იყო.

მოხსენება მიზნად ისახავს წინამდებარე საკითხის სამეცნიერო შეფასებას და მისი სხვადასხვა ასპექტის მიმოხილვას, შემდგომი განზოგადების მიზნით – განხილული იქნება საკანონმდებლო ნაწილი, სისტემის გამოწვევები, საერთაშორისო ძეგლთადაცვითი პრინციპები და ძეგლის მესაკუთრის პოზიცია.

ნატო გენგიური,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოხთას ეკლესია ცვლილებების ზღვარზე: ახლად გამოვლენილი რელიეფები და რეგიონული სკულპტურული სკოლის საკითხი

სოხთას შუა საუკუნეების ეკლესია საქართველოს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მდებარეობს და დღეს ქართველ მკვლევართათვის ძეგლის ადგილზე შესწავლა შეუძლებელია. ეკლესია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ნანგრევების სახით იყო ცნობილი. ძეგლისა და მის ტერიტორიაზე შემორჩენილი რელიეფური ფრაგმენტების პირველი აღწერა და შეფასება მოცემულია რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის კვლევაში.

2025 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ, სპეციალისტთა მონაწილეობის გარეშე, ეკლესიის ნანგრევების გაწმენდა დაიწყო. სამუშაოების შედეგად მიწისა და ნაშალი მასალისგან გათავისუფლდა მანამდე უცნობი არქიტექტურულ-სკულპტურული ფრაგმენტები, რომელთა ფოტო - და ვიდეომასალა სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელდა. ძეგლზე უშუალო წვდომის შეუძლებლობის პირობებში ეს ვიზუალური მასალა ახლად გამოვლენილი არტეფაქტების პირველადი შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი დაფიქსირება, ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

ახლად გამოვლენილ მასალაში გამოირჩევა მაღალი მხატვრული ხარისხით შესრულებული ფიგურული და ორნამენტული რელიეფები. მათი კომპოზიციური აგებულება, მოტივები და კვეთის მანერა სოხთას ეკლესიის სკულპტურული დეკორის მნიშვნელობას ახლებურად წარმოაჩენს და მისი თავდაპირველი მხატვრული სისტემის რეკონსტრუქციის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

სოხთას რელიეფების შედარება მეზობელი რეგიონების, განსაკუთრებით რაჭის X–XI საუკუნეების საეკლესიო სკულპტურის ნიმუშებთან, ავლენს საყურადღებო პარალელებს კომპოზიციურ გადაწყვეტებსა და მხატვრულ მიდგომებში. ეს მასალა შესაძლებლობას იძლევა დაისვას საკითხი X–XI საუკუნეებში რაჭის, იმერეთისა და ქართლის მთიანი ნაწილის მომცველ სივრცეში საერთო მხატვრული ნიშნებით გამორჩეული რეგიონული სკულპტურული სკოლის არსებობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული მოსაზრება წარმოდგენილი იქნება როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, რომლის შემდგომი კვლევა ახლად გამოვლენილი მასალისა და რეგიონის სხვა ძეგლების შედარებით ანალიზს საჭიროებს.

სოხთას ეკლესიის შემთხვევა ამგვარად ერთდროულად წარმოაჩენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის თანამედროვე პრობლემებს და ახალი მასალის მნიშვნელობას შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის რეგიონული მხატვრული პროცესების შესწავლისათვის.

თორნიკე დიასამიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი

ქრისტიანობის გავრცელება X საუკუნის ალანთა სამეფოში: ისტორიული წყაროები და ქრისტიანული ტაძრები

X საუკუნე ალანთა სამეფოს ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდამტეხი პერიოდია. ქრისტიანობის გავრცელებამ არსებითი გავლენა იქონია არა მხოლოდ რელიგიურ ცხოვრებაზე, არამედ საკულტო სივრცისა და მატერიალური კულტურის ტრანსფორმაციაზეც. ქრისტიანობამდელი ალანური ტრადიციების ფონზე, რომლებიც განსხვავებული რელიგიური პრაქტიკითა

და საკულტო გარემოთი ხასიათდებოდა, სწორედ ამ პერიოდში ჩნდება პირველი ქრისტიანული ტაძრები, რაც კულტურული ცვლილების თვალსაჩინო გამოხატულებაა.

ალანთა ქრისტიანიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს წარმოადგენს კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამადლობელო წერილი ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ისადმი, რომელშიც პატრიარქი მადლობას უხდის მეფეს ალანთა მთავრისა და მისი ოჯახის გაქრისტიანებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ალანთა ქრისტიანიზაციის პროცესში. ალანთა ტერიტორიაზე დღემდე არ არის შემორჩენილი ადგილობრივი წერილობითი წყაროები ან ეპიგრაფიკული მასალა, რომლებიც უშუალოდ ასახავდა ქრისტიანული ტაძრების აგებისა და ადრეული საეკლესიო ცხოვრების ისტორიას. ამ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წერილობითი წყაროებისა და შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების ურთიერთშეჯერება. სენტის, შოანისა და არხიზის ქრისტიანული ტაძრები, მათი არქიტექტურული ფორმების საფუძველზე, ავლენს მჭიდრო კავშირს ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციასთან, რაც საქართველოს კულტურული გავლენის განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მოხსენებაში, წერილობითი და არქიტექტურული წყაროების ურთიერთმიმართების საფუძველზე, განხილული იქნება ქრისტიანობის გავრცელებით გამოწვეული კულტურული ცვლილებები X საუკუნის ალანთა სამეფოში და საქართველოს როლი ამ პროცესში.

ირმა დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

სოხუმის დრამატული თეატრის არქიტექტურა

XX საუკუნის დასაწყისში სოხუმის კულტურულ ცხოვრებას მოდერნის სტილში აგებული ორი მრავალფუნქციური სათეატრო კომპლექსი წარმოაჩენდა: ალფრედ ბამეს პროექტით აგებული სამურიდის თეატრი (1911) და ქრისტეფორე სარქისოვ-სატუნცის მიერ დაპროექტებული ალოიზის თეატრი (1912). ორივე ნაგებობის შექმნას საფუძვლად კერძო მეწარმეთა კომერციული ინტერესები ედო. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აღნიშნულმა სივრცეებმა სახელმწიფო თეატრების სტატუსი შეიძინა.

პოლიტიკურმა და ისტორიულმა კატაკლიზმებმა ძირფესვიანად შეცვალა ორივე სათეატრო ნაგებობის ბედი. სამურიდის თეატრმა, რომელიც მოგვიანებით მხოლოდ კინოჩვენებებისთვის იყო განკუთვნილი და კინოთეატრი „აფსნი“ ეწოდა, 1960-იან წლებამდე იარსება, 1976 წელს კი მის ადგილას ახალი სათეატრო შენობა აიგო (სადაც 1982 წელს სოხუმის ქართული დრამატული დასი გადავიდა).

განსხვავებული ტრანსფორმაცია განიცადა ალოიზის თეატრმა. 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანული ავიაციის დარტყმების გამო, დაზიანებული ნაგებობის ბაზაზე, არქიტექტორ მიხეილ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით და კონსტანტინე ჩხეიძის მონაწილეობით, 1944-1952 წლებში, დამუშავდა პროექტი და დაიწყო მასშტაბური რეკონსტრუქცია-მშენებლობა. ავტორებმა შეინარჩუნეს გადარჩენილი კედლები და სართულშუა გადახურვები, თუმცა მოდერნის სტილის შენობები (ალოიზის თეატრი, „გრანდ-ოტელი“ და სინემატოგრაფი „ოლიმპია“) „სტალინური ამპირის“ ერთიან არქიტექტურულ კომპოზიციაში გაერთიანდა.

სოხუმის დრამატული თეატრის მხატვრული გადაწყვეტა XX საუკუნის შუა ხანებში გავრცელებული არქიტექტურული ტენდენციებისა და ეროვნული ფორმების სინთეზის გამორჩეული ნიმუშია. ექსტერიერის დეკორში გამოყენებულია ქართული შუა საუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრების მოტივები (შეწყვილებული სარკმლები, „კუწუბოები“, „კოპები“). ინტერიერის მხატვრული დამუშავების ძირითად თემას კი ქართული დარბაზის ხუროთმოძღვრული პრინციპები საზღვრავს, საკუთრივ, დეკორის ნახატი ხეზე კვეთის ნიმუშებთან ასოცირდება, რითიც ხალხურ შემოქმედებასთან კავშირია გამოკვეთილი. ქართული არქიტექტურული მოტივების გამოყენება (რაც ასევე გვხვდება გორის, ქუთაისისა და ჭიათურის თეატრებში) ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის უდავო გამოხატულება იყო.

მიხეილ ჩხიკვაძისა და კონსტანტინე ჩხეიძის მიერ დაპროექტებული სოხუმის დრამატული თეატრის შენობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აფხაზური და ქართული დასების ერთიანი თანაშემოქმედების სივრცე-ადგილი იყო, დღესაც მოქმედია, თუმცა მხოლოდ აფხაზური თეატრისთვის. მისი არქიტექტურა ქალაქისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდროებაა, რომელიც ინარჩუნებს ეპოქათა ისტორიულ მეხსირებას და XXI საუკუნეშიც აგრძელებს სიცოცხლეს.

რუსუდან დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი

ახალი კულტურული პარადიგმის ფორმირება: ავანგარდული აზროვნება, მოდერნიზმი და საქართველო

წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომი ეხება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპული ცნობიერების წიაღში წარმოქმნილ ცვლილებებს, რომლებიც შეეხო ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს. ეს იყო ტრადიციული ესთეტიკური სოციალური და ფილოსოფიური მოდელების რადიკალური გადაფასების შედეგი, რაც წინარე პერიოდებში მომწიფდა და კულტურული რევოლუცია განაპირობა.

მოხსენებაში აქცენტირებული იქნება ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული კულტურული და მხატვრული აზროვნების ახალი ფორმები და საშუალებები.

კვლევის ფარგლებში შევეცდები წარმოვაჩინო ქართული ხელოვნების თანმიმდევრობა ამ ყოველივესთან მიმართებაში. გამოვკვეთო საქართველოს ადგილი ამ ცვლილებათა არეალში. ვისაუბრო მისი კულტურის სახეგვარობასა და თავისებურებებზე.

ეკატერინა კენიგსბერგი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების
ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ბელარუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემია, მინსკი,
ბელარუსის რესპუბლიკა

იააკოვ აგამი: გედაპირები მოძრაობაში

ისრაელელმა მხატვარმა იააკოვ აგამმა (1928–2026), კინეტიკური და პოპ-არტის ერთ-ერთმა პიონერმა და XX საუკუნის მეორე ნახევრის აბსტრაქტული ხელოვნების მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, დატოვა შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელმაც არსებითად შეცვალა ხელოვნების აღქმა და მაყურებელი ესთეტიკური გამოცდილების განუყოფელ ნაწილად აქცია.

იმ პერიოდში, როდესაც ფერწერა და ქანდაკება უმეტესად სტატიკური გამოსახულების იდეასთან ასოცირდებოდა, აგამმა კონცეპტუალური რევოლუცია შემოგვთავაზა. მისი აზრით, ხელოვნების ნაწარმოები არასოდეს უნდა აღიქმებოდეს ერთადერთი და საბოლოო სახით. იგი იცვლება მაყურებლის მოძრაობის, განათებისა და დროის მსვლელობის შესაბამისად. მხატვარმა უარყო უცვლელი ვიზუალური ჭეშმარიტების იდეა და შემოიტანა ის, რასაც თავად „მეოთხე განზომილებას“ უწოდებდა — მოძრაობისა და აღქმის განზომილებას. მისი ნამუშევრები მაყურებლის გადაადგილებისას გარდაიქმნება და ესთეტიკურ გამოცდილებას ცოცხალ პროცესად აქცევს.

აგამი თანმიმდევრულად ცდილობდა ფერწერას, ქანდაკებას, არქიტექტურასა და ურბანულ გარემოს შორის საზღვრების წაშლას. მისი ნამუშევრები სივრცესთან ურთიერთქმედებს და აქტიურად რთავს მაყურებელს პროცესში, რითაც წინასწარ მოასწავებს იმერსიასა და ინტერაქციაზე დაფუძნებულ მრავალ თანამედროვე მხატვრულ პრაქტიკას.

აგამის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია მოძრაობა, მაყურებლის მონაწილეობა და სინათლისა და ხმის ხშირი გამოყენება. მისი მრავალი ნამუშევარი საჯარო სივრცეებისთვის შეიქმნა. ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს შორისაა Double Metamorphosis III (1968–1969), Visual Music Orchestration (1989), პარიზის ლა დეფანსის რაიონის შადრევანი (1975) და თელ-ავივის დიზენგოფის მოედანზე მდებარე Fire and Water Fountain (1986). აგამი ასევე ცნობილია მისთვის დამახასიათებელი ბეჭდვის ტექნიკით - „აგამოგრაფით“ (Agamograph), რომლის დროსაც სპეციალური რელიეფური, ზიგზაგისებრი ზედაპირი ხედვის კუთხის ცვლილების შესაბამისად სრულიად განსხვავებული გამოსახულებების წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა.

აგამის ნამუშევრები მსოფლიოს სხვადასხვა კოლექციაშია დაცული. მას მრავალი პერსონალური გამოფენა ჰქონდა, მისი შემოქმედება კი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში იყო წარმოდგენილი. მონუმენტური ნამუშევრები არა მხოლოდ ისრაელისა და მსოფლიო ხელოვნების, არამედ თავად ურბანული ლანდშაფტის ნაწილადაც იქცა. მხატვრის სიცოცხლეშივე ისრაელის ქალაქ რიშონ-ლეციონში გაიხსნა მისი სახელობის მუზეუმი, სადაც მისი საკვანძო ნაწარმოებებია წარმოდგენილი.

მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა კინეტიკური და ოპ-არტის ფარგლებს სცდება და კვლავაც შთაგონების წყაროა იმ ხელოვანებისთვის, რომლებიც მოძრაობის, აღქმისა და მონაწილეობის კონცეფციებს იკვლევენ.

ნინო კვირიკაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმინდა სერგი და წმინდა ბაქოსი: ახლად იდენტიფიცირებული რელიეფები ვალეს ეკლესიაზე

(X საუკუნე)

სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ სამცხეში მდებარე ვალეს ღმრთისმშობლის ეკლესია დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, განსაკუთრებით თავისი მდიდარი სკულპტურული დეკორით.

მოხსენებაში განხილულია ეკლესიის სამხრეთ ფასადზე განთავსებული ორ რელიეფი, რომელთა იდენტიფიცირება 2022 წლის ექსპედიციის დროს აღმოჩენილი წარწერების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ცხენოსანი ფიგურები დიდი ხნის განმავლობაში სამეფო პირებად მიიჩნეოდა, თუმცა ახლად გამოვლენილი წარწერები მათ წმინდა მხედრებად განსაზღვრავს. ესაა წმინდა სერგი და წმინდა ბაქოსი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კედლის მხატვრობაში მათი გამოსახულებები გვხვდება, ისინი საქართველოში ამ წმინდანთა სკულპტურული გამოსახულებების დღემდე ცნობილ ერთადერთ ნიმუშებს წარმოადგენს.

იკონოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ რელიეფები ითვალისწინებს წმინდა მხედართა გამოსახვის ადგილობრივ, ქართულ იკონოგრაფიულ ტრადიციებს და ასევე, აღმოსავლურ ქრისტიანულ ნიმუშებთან, განსაკუთრებით სირიის (რუსაფა) და კაპადოკიის ხელოვნებასთან ავლენს სიახლოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წმინდანთა ჰაგიოგრაფიული ტრადიცია საქართველოში ბიზანტიის გზით გავრცელდა, რელიეფების იკონოგრაფიული და სტილისტური თავისებურებები ქრისტიანულ აღმოსავლეთთან უფრო ფართო კულტურულ და მხატვრულ ურთიერთობებზე მიუთითებს. ეს აღმოჩენა ახლებურად წარ-

მოაჩენს X საუკუნის სამცხის რელიგიურ და მხატვრულ კავშირებს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენას საქართველოს ადგილის შესახებ აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისა და ბიზანტიური სამყაროს ფართო კულტურულ ქსელში.

ეკა კიკნაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

არარსებული მონუმენტები: ქართული საჯარო მეხსიერების საზღვრები იმპერიულ თბილისში

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, ქართულ საზოგადოებას ქართველი მოღვაწეების: შოთა რუსთაველის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა თუ სხვათა მონუმენტური კომემორაციის არაერთი ინიციატივა ჰქონდა. ამ ინიციატივებიდან მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ძეგლი განხორციელდა, რომელიც იმპერიული პატრონაჟის გარეშე, საზოგადოებრივი ძალისხმევით, მის საფლავზე დაიდგა; ასევე საფლავებზე დაიდგა დიმიტრი ყიფიანისა და დავით ერისთავის ბიუსტებიც. თბილისის საჯარო სივრცეები კი რუსული ადმინისტრაციისა და კულტურის წარმომადგენლების - მიხეილ ვორონცოვის მონუმენტმა და ალექსანდრე პუშკინისა და ნიკოლოზ გოგოლის ბიუსტებმა დაიკავეს.

მოხსენება კოლონიური მეხსიერების კვლევების, თანადროული პერიოდული, მემუარული და საარქივო პირველწყაროების ანალიზზე დაყრდნობით იმპერიული თბილისის მემორიალურ ლანდშაფტში არსებულ ორმაგ ასიმეტრიას განიხილავს: ერთი მხრივ, იმ ფიგურების შერჩევის პრინციპს, რომლებსაც ქალაქის საჯარო სივრცეში მონუმენტური სტატუსი ენიჭებოდათ, ხოლო მეორე მხრივ, იმ მკაფიო სივრცობრივ დიფერენცირებას, რომლის შედეგადაც ქართული მეხსიერება პრესის,

საფლავისა და საზოგადოებრივი ინიციატივების სივრცეში არსებობდა, მაგრამ ცენტრალური საჯარო ურბანული მონუმენტის სტატუსს ვერ იძენდა.

ლალი ოსეფაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

კიდევ ერთი სვეტიცხოვლისეული სიწმიდის შესწავლის საკითხისათვის

XVII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ცნობილი „ორიანობის“ სახელით, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ქართლს განაგებდა გიორგი XI, ხოლო 1688 წელს ირანის შაჰმა გამაჰმადიანებული ნაზარალიხანი, ერეკლე I გამოაგზავნა, რასაც მოჰყვა „ორიანობა“, განსაკუთრებით 1691-1695 წლებში. პოლიტიკური ვითარება მძიმეა, თუმცა, უნდა აღინიშნოს კულტურული აღმავლობა, „ორიანობამდე“ კი, მნიშვნელოვანი ფიგურა საქართველოს ისტორიაში მარიამ დედოფალი იყო (1634-1680), ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, თამარ მეფის შემდეგ მისი მსგავსი არვინ ყოფილაო. მის სახელს უკავშირდება არაერთი ეკლესიის აღდგენა-განახლება, სიწმიდეებზე ზრუნვა. ამიტომაც XVII საუკუნის კულტურასა და ხელოვნებაზე საუბრისას, მისი ღვაწლი არ უნდა გამოგვრჩეს. ამ პერიოდისთვის აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ყოფილა ნიკოლოზ IX იოთამის ძე ამილახვარი (1678-1688; 1692-1695)მის სახელთანაა დაკავშირებული სიწმიდეებისა და საკუთრივ სვეტიცხოვლის კათედრალის, მისი მხატვრობების განახლება, ხელნაწერთა გადაწერა და მინიატიურებით შემკობა. ამ ხელნაწერებს შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი სიწმიდეები, როგორებიცაა სვეტიცხოვლის

გულანი (A-30-31-32), ღმრთისმშობლის დაუჯდომელი (H-98) ორივე მათგანი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ღმრთისმშობლის დაუჯდომელი K 258, ქართული კულტურის აღმავლობის ამ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. მომგებელი თვით ნიკოლოზ IX კათოლიკოსი უნდა იყოს.

ამჯერად, სწორედ ეს უნიკალური ილუსტრირებული ხელნაწერი წარმოადგენს ჩემი მოხსენების საგანს. შესრულებულია ქაღალდზე, შეიცავს 62 ფურცელს, ზომით 17x10,5. გადამწერ-მხატვარი მიქელი ყოფილა. მის მრავალრიცხოვან მინიატიურათა შორის უნდა გამოვარჩიოთ ხელნაწერის ყდის ფორზაცზე მოთავსებული ორი მინიატიურა: ზოდიაქოს რკალი 12 სიმბოლო-ნიშნით, მზისა და მთვარის გამოსახულებები და ცენტრში დახვეული გველით და სიცოცხლის ხე, მის ცენტრში ჭაბუკი და ორი ფარშევანგი, ასევე ხის ძირში ურჩხულის თავია.

აღნიშნული ხელნაწერის მინიატიურები გამოქვეყნებულია, ჩემი მოხსენების მიზანია, ქრისტიანული სახისმეტყველებით გამორჩეული ამ ორი მინიატიურის შესწავლა, მათი სახე-ხატის წარმოჩენა და სვეტიცხოვლის სიწმიდეებთან - აღნიშნული ორი ხელნაწერი (გულანი და დაუჯდომელი) და ტაძრის სამხრეთი კედლის ცნობილი ვრცელი კომპოზიცია, სადაც გვხვდება 12 ზოდიაქოს ნიშანი. მათი ურთიერთკავშირი მრავალ საინტერესო პლასტს გამოკვეთს.

ქეთევან ოჩხიკიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუა საუკუნეების მეორედ მოსვლის იკონოგრაფიის რეცეფცია მერაბ აბრამიშვილის „აპოკალიფსში“

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდებოდა ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. საბჭოთა რეჟიმის ღრმა კრიზისის პირობებში კულტურა თანდათან თავისუფლდება იდეოლოგიური წნეხისაგან. სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოების რღვევასთან ერთად, მხატვართა შორის აქტუალური ხდება რელიგიური თემატიკა. ეს მიმართულება შემოქმედთათვის ერთგვარ სულიერ საყრდენად იქცა და მათ მანამდე ტაბუდადებული თემის ახალი ვიზუალური ენისა და შინაარსის ძიება დაიწყეს. რელიგიური თემატიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნული იდენტობის ძიების პროცესს, რომელმაც 80-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილებები გამოიწვია.

აღნიშნული პერიოდის მხატვართა თაობის წარმომადგენლის, მერაბ აბრამიშვილის, შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობით ნასაზრდოებ რელიგიურ თემატიკას, რომელიც პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაციით არის გააზრებული. მხატვრის შემოქმედებაში აისახება პოსტსაბჭოთა პერიოდის ხელოვანის სულიერი ძიებები და ეგზისტენციალური კითხვები.

მერაბ აბრამიშვილის ფერწერულ კომპოზიციებში სამოთხის, ანგელოზებისა და სახარებისეული სიუჟეტების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეორედ მოსვლის ამსახველ კომპოზიციას - „აპოკალიფსი“ (1994), რომელიც ტრადიციულ იკონოგრაფიასა და „იოანეს გამოცხადების“ ტექსტის თავისებურ ინტერპრეტაციას ეფუძნება. განსხვავებული ეს-

თეტიკით შექმნილ ამ ნამუშევარში შუა საუკუნეების კედლის მხატვრობისათვის ტრადიციული კომპოზიცია სრულიად ახალ ჟღერადობას იძენს. წარსულისა და აწმყოს კონტექსტი ერთმანეთს ერწყმის, ხოლო ტრადიციული იკონოგრაფიული ფორმა თანამედროვე მხატვრულ კონტექსტში ახალ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს.

სოფიო პაპინაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანება

მონუმენტებისა და მემორიალების ფორმისა და შინაარსის გააზრება XX საუკუნის ქართულ ქანდაკებაში

საქართველოში მონუმენტური ძეგლების აღმართვას საფუძველი XIX-XX საუკუნეში დაედო. პირველი ძეგლი თბილისში რუსი მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის გადაწყვეტილებით აღიმართა. ძეგლები მიეძღვნა მიხეილ ვორონცოვს, ალექსანდრე პუშკინს, ნიკოლაი გოგოლს. უნდა აღინიშნოს, რომ მონუმენტები არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ან მოვლენის აღნიშვნას, არამედ ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებასაც ემსახურებოდა.

XX საუკუნეში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, მონუმენტურმა ქანდაკებამ მკვეთრად იდეოლოგიური ხასიათი შეიძინა. სახელმწიფოს დაკვეთით იქმნებოდა მონუმენტები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ემყარებოდა და საბჭოთა ხელისუფლების, შრომის, გმირობისა და რევოლუციური იდეების პროპაგანდას ემსახურებოდა. მონუმენტების ზომა მასშტაბური იყო, ხოლო შინაარსი – გმირული და პატრიოტული.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მონუმენტური ქანდაკების მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბჭოთა მემორიალების ნაწილს დემონ-

ტაჟი გაუკეთეს, ნაწილი კი დღემდე დგას (მაგალითად, გიორგი შხვაცაბაიას „დროშები ჩქარა“, 1988 და სხვა). ახალი მონუმენტები ეროვნული ისტორიის, თავისუფლებისთვის ბრძოლის, კულტურისა და რელიგიური ღირებულებების, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თემებს მიეძღვნა. თანამედროვე ქართული ქანდაკება XXI საუკუნეში ახალ ფორმას ეძებს. მონუმენტების ფორმისა და შინაარსის ევოლუცია გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა ხელოვნების ფუნქცია სხვადასხვა დროის პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში.

სტატიაში განხილული იქნება XX და XXI საუკუნის ქართული მონუმენტური ქანდაკებისა და მემორიალების მახასიათებლები ისტორიული, ფორმისეული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური კუთხით.

თემურ ქანთარია-ჯაბადარი,
დოქტორანტი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის
ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი
დავით ნიორაძე,
დოქტორანტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ლექტორი, კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისის ნერსესიანის სემინარია: ისტორია და არქიტექტურა

მახათას მთის ერთ-ერთ ფერდზე დღემდე ქალაქის პანორამაში აქტიურ მახვილად რჩება თბილისის გამორჩეული შენობა - ყოფილი ნერსესიანის სემინარიის, დღევანდელი კავკასიის უნივერსიტეტის შენობა. დღეს ცოტამ თუ იცის ნაგებობის ისტორია, რომელიც დაკავშირებულია საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცევის შემდგომ წლებთან, კერძოდ, საქართველოში მოქმედ სომხურ

დიასპორასთან. ნერსესიანის სემინარია წარმოადგენდა კავკასიაში ერთ-ერთ წამყვან სომხურ საგანმანათლებლო კერას, რომელიც სათავეს 1830-იანი წლების დასაწყისიდან იღებს და XX საუკუნის 1920-იან წლებამდე აგრძელებს არსებობას.

სემინარიას სომხებისთვის ერთდროულად საგანმანათლებლო, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. სომხური დიასპორის მისდამი დიდმა ყურადღებამ განაპირობა მისი გაფართოება და XX საუკუნის 1910-იანი წლებისთვის მასშტაბური შენობის აგება, რომლის არქიტექტორები იყვნენ მიხეილ ნეპრინცევი და პავლე ზურაბიანი.

ნერსესიანის სემინარიის არქიტექტურას ცალკე ისტორია აქვს, რომელიც კარგად წარმოაჩენს იმ ყურადღებასა და მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებდნენ ამ სასწავლებელს საქართველოსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სომხები. აღნიშნული ტექსტიც სემინარიის შექმნის, ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპის ისტორიულ მიმოხილვას ისახავს მიზნად, მის არქიტექტურასთან ერთად.

პრესის, საარქივო მასალების, სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ წყაროზე დაყრდნობით კომპილირებული მასალა აჩენს სემინარიის ისტორიის აქამდე უცნობ ან კრავს ერთად სხვადასხვა წყაროში გაბნეულ ცნობებს, რომლებიც ამდიდრებენ მის, თბილისისა (არქიტექტურისა და ურბანისტიკის) და სომხური დიასპორის ისტორიას.

მედიის კვლევები

დავით დოლიძე,
მასობრივი კომუნიკაციების მეცნიერებათა დოქტორი

კულტურული იდენტობის ტრანსფორმაცია გლობალური მედიაბრენდების ციფრული განვითარების პირობებში: ქართული მედიასივრცის გამოცდილება

ციფრულ ეპოქაში მედია არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებად, არამედ კულტურული ღირებულებების, სოციალური ნორმებისა და იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე საერთაშორისო მედიაბრენდები აქტიურად აფართოებენ საქმიანობას სხვადასხვა ეროვნულ ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის როგორც მედიის ფუნქციებს, ისე კულტურული კომუნიკაციის ფორმებს. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურული იდენტობის ტრანსფორმაციის საკითხი, რადგან გლობალური მედიასტანდარტების ადგილობრივ კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია ქმნის ახალ კომუნიკაციურ და კულტურულ რეალობას.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ მოქმედებს საერთაშორისო მედიაბრენდების ციფრული განვითარება ქართული კულტურული იდენტობის რეპრეზენტაციასა და ტრანსფორმაციაზე, ასევე შეაფასოს ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც გლობალური სარედაქციო მოდელები ინტეგრირდება ქართულ მედიასივრცეში ადგილობრივი კულტურული თავისებურებების შენარჩუნების პირობებში.

კვლევა ეფუძნება კულტურული გლობალიზაციის, გლოკალიზაციის, მედიის კონვერგენციისა და ციფრული ტრანსფორმაციის თეორიულ ჩარჩოებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მედიაგარემო აღარ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის სივრცეს; იგი აქტიურად მონაწილეობს კულტურული მნიშვნელობების კონსტრუირებაში, ეროვნული იდენტობის ინტერპრეტაციასა და

საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირებაში. ამ პირობებში საერთაშორისო მედიაბრენდები ერთდროულად ავრცელებენ უნივერსალურ პროფესიულ სტანდარტებს და ამავე დროს იძულებული არიან, გაითვალისწინონ ადგილობრივი კულტურული, ისტორიული და სოციალური კონტექსტი.

კვლევის ემპირიული ნაწილი ეფუძნება საქართველოში მოქმედი საერთაშორისო მედიაბრენდების გამოცდილების ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ სარედაქციო პოლიტიკას, კონტენტის ლოკალიზაციის პრაქტიკებს, ციფრულ საკომუნიკაციო სტრატეგიებსა და აუდიტორიასთან ინტერაქციის თანამედროვე ფორმებს. კვლევა აჩვენებს, რომ ქართული გამოცემები გლობალური ბრენდების ღირებულებებსა და პროფესიულ სტანდარტებს წარმატებით უთავსებენ ეროვნულ კულტურულ ნარატივებს, რის შედეგადაც ყალიბდება გლოკალიზებული მედია, რომელიც ინარჩუნებს საერთაშორისო ბრენდის იდენტობას და, ამავდროულად, ასახავს ქართული საზოგადოების კულტურულ თავისებურებებს.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ციფრული ტრანსფორმაციის გავლენაზე კულტურული იდენტობის რეპრეზენტაციის პროცესში. სოციალური მედიის პლატფორმებმა, მულტიმედიურმა ფორმატებმა, მონაცემებზე დაფუძნებულმა სარედაქციო გადაწყვეტილებებმა და ხელოვნური ინტელექტის მზარდმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მედიისა და აუდიტორიის ურთიერთობის მოდელი. შედეგად, კულტურული იდენტობა აღარ ყალიბდება მხოლოდ ტრადიციული მედიის გავლენით, არამედ მუდმივად გადაიაზრება ციფრულ სივრცეში მიმდინარე ინტერაქტიური კომუნიკაციის პროცესში.

საერთაშორისო მედიაბრენდების წარმატებული ფუნქციონირება საქართველოში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურული ადაპტაციის ხარისხზე. ციფრული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ კულტურულ ცვლილებებსაც განაპირობებს, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, ადგილობრივი მედიის საერთაშორისო ინტეგრაციისა და

გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ქართული კულტურული იდენტობის უფრო ეფექტიანი წარმოჩენისთვის. აღნიშნული საკითხების კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე კულტურული ცვლილებების პირობებში, როდესაც გლობალურ და ადგილობრივ კულტურულ პროცესებს შორის ბალანსის შენარჩუნება მედიის განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

ნანა დოლიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი
კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ეკრანული ნარატივის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: ტრადიციული ტელესერიალიდან მიკროსერიალამდე

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და მედიის სწრაფმა ტრანსფორმაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა აუდიოვიზუალური კულტურის წარმოების, გავრცელებისა და მოხმარების ფორმები. ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სერიალის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ეკრანული ნარატივის, ევოლუციის მაგალითზე. თუ ტრადიციული სატელევიზიო სერიალი გარკვეულ ქრონომეტრაჟს, ეპიზოდურ სტრუქტურას, მაუწყებლობის განრიგსა და აუდიტორიის ქცევის შედარებით სტაბილურ მოდელს ეფუძნებოდა, ციფრულმა გარემომ ეკრანული ნარატივის ახალი ფორმებისა და სტრუქტურების განვითარებას შეუწყო ხელი. ვებ-სერიალების, სტრიმინგპლატფორმების, მოკლე ფორმატის ვიდეოკონტენტის, მიკროსერიალებისა და ე.წ. ვერტიკალური სერიების გავრცელებამ სერიალის ტრადიციული ფორმატი მნიშვნელოვნად გარდაქმნა.

ჩვენ თვალწინ ტრადიციული სატელევიზიო სერიალის მოდელი - ახალ, აუდიოვიზუალურ ფორმატებზე გადადის. მათ შორის ვებ-სერიალი, სტრიმინგის სერიალი, მოკლემეტრაჟიანი დრამა, მიკროსერიალი თუ ვერტიკალური დრამა. როგორ მოქმედებს ახალი მედია გარემო სერიალის ქრონომეტრაჟზე, დრამატურგიულ აგებულებაზე, ნარატივის განვითარების ტემპსა და მაყურებელთან ურთიერთობის პრინციპებზე?

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება ინტერესი მიკროსერიალისა და მოკლე ფორმატის აუდიოვიზუალური პროდუქციისადმი. მაყურებელი (მომხმარებელი) რამდენიმე წუთში ან ზოგჯერ რამდენიმე ათეული წამის ხანგრძლივობის ეპიზოდების, განსხვავებულ ნარატიულ თხრობას ითხოვს, რაც, თავის მხრივ, ცვლის სერიალის აგების დრამატურგიულ პრინციპებს. თუ, ტრადიციული სერიალის ეპიზოდი ათეულობით წუთს გრძელდება, მიკროსერიალის შემთხვევაში ნარატიული დრო მკვეთრად მცირდება, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სიუჟეტის განვითარების ტემპზე, კონფლიქტის წარმოჩენაზე, პერსონაჟის ხასიათის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე, დიალოგის თუ ეპიზოდის სტრუქტურაზე. ამგვარ ფორმატში თითოეული წამი თხრობითი დატვირთვის მატარებელი ხდება, ხოლო მაყურებლის ყურადღების შენარჩუნება თავად დრამატურგიული ორგანიზების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად გვევლინება.

ამასთან, ციფრული გარემოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ვერტიკალური ვიდეოსერიების განვითარება, რომლებიც მობილური მოწყობილობებისთვის იქმნება და ეკრანის ვერტიკალურ ფორმატს ერგება. ამ შემთხვევაში იცვლება არა მხოლოდ ნაწარმოების ქრონომეტრაჟი, არამედ ვიზუალური ენა, კადრის კომპოზიცია, მონტაჟის პრინციპები და მაყურებლის ეკრანთან ურთიერთობის ფორმა. სერიალი თანდათანობით თავისუფლდება ტრადიციული სატელევიზიო ეკრანისა და მაუწყებლობის დროითი ჩარჩოებისგან და მობილურ, პერსონალიზებულ და მუდმივად ხელმისაწვდომ მედია გარემოში გადაინაცვლებს.

ჩნდება კითხვა: რამდენად განსაზღვრავს ალგორითმი არა მხოლოდ იმას, თუ რას ვუყურებთ, არამედ იმასაც, თუ როგორი უნდა იყოს ის ნარატივი, რომელსაც ვუყურებთ? როგორ იცვლება მაყურებლის ქცევა, რომელიც შეჩვეული იყო მზა პროდუქტის მიღებას, მაშინ როდესაც ციფრულ გარემოში თავად ხდება კულტურული პროდუქტის შერჩევის, გავრცელებისა და პოპულარიზაციის პროცესის აქტიური მონაწილე?

ციფრულ ეპოქაში სერიალი მხოლოდ ფორმატს არ იცვლის, ჩვენ თვალს ვადევნებთ, თუ როგორ ტრანსფორმირდება თავად ეკრანული ნარატივის ბუნება. თუ როგორ ყალიბდება მოკლე, სწრაფი, მობილური, ვერტიკალური და ალგორითმულად გავრცელებადი ნარატივები, ტრადიციული ეპიზოდური და ხანგრძლივი თხრობის პარალელურად. ამ პროცესში იცვლება ურთიერთობა ავტორს, ტექსტს, ტექნოლოგიასა და მაყურებელს შორის, რის შედეგადაც თანამედროვე აუდიოვიზუალური კულტურა ახალი ტიპის ნარატიულ ფორმებს ქმნის და სერიალის, როგორც კულტურული ფენომენის, საზღვრებს ხელახლა განსაზღვრავს.

თეონა ზედანია,
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„კულტურა მედიაში“, დოქტორანტი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტი

კულტურული კომუნიკაციის ტრანსფორმაცია ციფრული ცვლილებების ზღვარზე: ტრადიციული რადიოდან პოდკასტის ეპოქამდე

მედიის ციფრულმა ტრანსფორმაციამ ფუნდამენტურად შეცვალა კულტურული კომუნიკაციის წარმოება, გავრცელება და აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული რადიო დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა საჯარო ინსტიტუტის როლს,

რომელიც პასუხისმგებელი იყო ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე, კულტურული ცოდნის გავრცელებასა და მხატვრული გამოხატვის მხარდაჭერაზე, პოდკასტინგის გამოჩენამ შექმნა ახალი კომუნიკაციური გარემო, რომელსაც ახასიათებს პლატფორმიზაცია, აუდიტორიის მონაწილეობა და დეცენტრალიზებული კულტურული წარმოება. ნაცვლად იმისა, რომ წარმოადგენდეს რადიოს მარტივ ტექნოლოგიურ ჩანაცვლებას, პოდკასტინგი აუდიოკულტურის ევოლუციის ახალ ეტაპს ქმნის, სადაც ტრადიციული მაუწყებლობის პრაქტიკები ხელახლა არის გააზრებული ციფრული ინფრასტრუქტურისა და მონაწილეობითი მედია ეკოსისტემების მეშვეობით. უახლესი სამეცნიერო კვლევები სულ უფრო ხშირად განიხილავს პოდკასტებს, როგორც ჰიბრიდულ კულტურულ ფორმას, რომელიც აერთიანებს მაუწყებლობის ინსტიტუციურ ტრადიციებს ციფრული პლატფორმების მოქნილობასთან, პერსონალიზაციასა და ტრანსნაციონალურ კავშირებთან.

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ცვლის პოდკასტინგი ტრადიციული რადიოს კულტურულ ფუნქციებს ციფრული კულტურული ეკოსისტემის ფარგლებში. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ პოდკასტინგი ინოვაციური მედია ფორმატიდან გადაიქცა კულტურულ ინსტიტუტად, რომელიც აყალიბებს კულტურულ მეხსიერებას, მემკვიდრეობის ინტერპრეტაციას და კულტურულ ორგანიზაციებსა და აუდიტორიას შორის ურთიერთქმედებას. თეორიული ჩარჩო აერთიანებს მედიის რემედიაციის თეორიას, კულტურულ კომუნიკაციასა და პოდკასტების შედეგებს. კვლევა იყენებს უახლესი ლიტერატურის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და შერჩეული საერთაშორისო და ქართული მაგალითების თვისებრივ შედარებით ანალიზს, აქცენტით კულტურული წარმოების, აუდიტორიის ჩართულობისა და კულტურული ღირებულების ტრანსფორმაციაზე.

ქართული კონტექსტი ემსახურება როგორც თვალსაჩინო მაგალითი ამ ტრანსფორმაციების შესწავლას. როგორც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის, მცირე ენობრივი მედია ბაზრისა და განვითარებადი ციფრული გარემოს მქონე ქვეყანა, საქართველო წარმოადგენს რელევანტურ კონტექსტს იმის

გამოსაკვლევად, თუ როგორ უწყობს ხელს პოდკასტინგი კულტურის შენარჩუნებასა და საერთაშორისო ხილვადობას. ბოლო წლებში, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, უნივერსიტეტებმა, საგანმანათლებლო ინიციატივებმა და დამოუკიდებელმა შემქმნელებმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს პოდკასტინგის გამოყენება ისტორიის, მხატვრული პრაქტიკებისა და კულტურული იდენტობის კომუნიკაციისთვის. ამ კონტექსტში, პოდკასტინგი ავსებს საზოგადოებრივ მედიას, აფართოებს რა კულტურულ მონაწილეობას ტრადიციული მაუწყებლობის ინსტიტუციური და დროითი საზღვრების მიღმა.

მოსალოდნელი შედეგები აჩვენებს, რომ პოდკასტინგი ოთხი ძირითადი გზით გარდაქმნის კულტურულ კომუნიკაციას. პირველი, ის ახდენს კულტურული წარმოების დეცენტრალიზაციას შემქმნელებისთვის ინსტიტუციური ბარიერების შემცირების გზით. მეორე, აძლიერებს აუდიტორიის მონაწილეობას ინტერაქტიული და სათემო კომუნიკაციის მეშვეობით. მესამე, ზრდის კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას კულტურულ ნარატივებზე მუდმივი, მოთხოვნადი წვდომის უზრუნველყოფით. ბოლოს, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული კონტენტის საერთაშორისო მიმოქცევას, რაც საშუალებას აძლევს მცირე კულტურულ და ენობრივ თემებს მიაღწიონ გლობალურ აუდიტორიას საკუთარი კულტურული სპეციფიკის შენარჩუნებით.

შემოთავაზებული კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს პოდკასტინგის, როგორც ტრანსფორმაციული კულტურული კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის კონცეპტუალიზაციაში, და არა მხოლოდ რადიოს ციფრულ გაგრძელებად აღქმაში. პოდკასტების კვლევების კულტურულ პოლიტიკასთან, საზოგადოებრივი მედიის კვლევებსა და ქართულ ციფრულ მედია კონტექსტთან ინტეგრირებით, ნაშრომი ხელს უწყობს იმის უფრო ფართო გააზრებას, თუ როგორ განსაზღვრავენ ციფრული აუდიო პლატფორმები კულტურას, მედია ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას ციფრული ცვლილებების ზღვარზე.

ლაურა კუტუბიძე,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მედიის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: ინდივიდუალური მომხმარებლიდან აუდიტორიის ტრაიბალიზმისკენ

მაკლუენი მიიჩნევდა, რომ: „ფონეტიკური ალფავიტი უნიკალური ტექნოლოგიაა“, რომელიც გახდა „ცივილიზებული ადამიანის“, ანუ ერთმანეთისგან განსხვავებული ინდივიდების, ჩამოყალიბების საშუალება. ალფავიტმა და მისმა გაფართოებამ ბეჭდვის მეშვეობით განაპირობა ძალაუფლების, ანუ ცოდნის გავრცელების შესაძლებლობა, შეასუსტა ტომობრივი კავშირები და შედეგად ტომობრივი კაცობრიობა აქცია განსხვავებული ინდივიდების ერთობლიობად. დამწერლობამ და ბეჭდვამ დასავლეთს და დასავლელ ადამიანს შესძინა ძლიერება და ეფექტურობა!

მაკლუენმა, ასევე, ფაქტობრივად იწინასწარმეტყველა საინფორმაციო ეპოქის დღევანდელი რეალობა: ელექტრონულმა წერამ და ელექტრონულმა სისწრაფემ, მყისიერად და თანმიმდევრულად, თავს დაატეხა ადამიანს ყველა სხვა ადამიანის ინტერესები და ის უკვე ისევ ტომობრივი ხდება. ადამიანთა მოდგმა კვლავ უბრუნდება ტომობრიობას.

მაკლუენი არც ვებ 2-ის ეპოქას მოსწრებია, არც ინტერნეტმომხმარებლის ინტერნეტაქტორად ქცევას, არც მის ნაწინასწარმეტყველებ „გლობალურ სოფელს“, რომლის მილიარდობით „მცხოვრებნი“, გლობალიზაციის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მარგინალურად შეიკეტნენ საკუთარ ბაბლებში, ექოპალატებით შემოსაზღვრულ საინფორმაციო ველებში და კომფორტულად შეეგუენ თითოეული მომხმარებლის შერხევაზე მყისიერად მორეაგირე ონლაინალგორითმების პირდაპირ თუ ირიბ შემოტევებს. მაგრამ მაკლუენისთანა შორსგამხედი გენიოსები სწორედ ამიტომაც მოევლინებიან კაცობრიობას, რომ პროგრესის თანმდევ პარადოქსებზე მიგვანიშ-

ნონ მანამ, სანამ „მეჩეჩებს“ არ შევეჯახებით და ლამის ზუსტი ორიენტირები გაგვისაზღვრონ მოვლენების უსწრაფესი განვითარების ლაბირინთებში; მაკლუენის ხსენებითაც ცხადია, რომ ამ თემის მიზანი თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცის პარადოქსების გააზრებაა; უფრო კონკრეტულად, ციფრული მედიის, ანუ მასობრივი კომუნიკაციის აუდიტორიის ქცევის სპეციფიკის განსაზღვრა ციფრულ რეალობაში.

თეონა ნაცვლიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში დოქტორანტი

იაპონური იდენტობის ფორმირება: ტრადიციასა და გლობალიზაციას შორის

სტატია განიხილავს იაპონური ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. კვლევის მიზანია აჩვენოს, რომ იაპონური იდენტობა არ წარმოადგენს უცვლელ და ერთგვაროვან ფენომენს, არამედ მუდმივად გარდაიქმნება ისტორიული გამოცდილების, კულტურული ტრადიციებისა და თანამედროვე გლობალური პროცესების გავლენით.

კვლევა მიმოიხილავს იდენტობის განვითარების ძირითად ეტაპებს — მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ტრანსფორმაციიდან თანამედროვე იაპონიის სოციალურ და კულტურულ რეალობამდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრადიციული ღირებულებების, ესთეტიკური კულტურის, კოლექტიური სოციალური მოდელის, პოპკულტურის, გლობალიზაციისა და დიასპორული გამოცდილების გავლენას ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაზე.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე იაპონური იდენტობა ყალიბდება ტრადიციისა და ინოვაციის, ეროვნული მეხსიერებისა და გლობალური კულტურული პროცესების ურთიერ-

თქმედების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია და დემოგრაფიული ცვლილებები ახალ გამოწვევებს ქმნის, იაპონია ახერხებს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და მის ადაპტაციას ახალ სოციალურ რეალობებთან.

სტატიის ანალიზი ცხადყოფს, რომ იაპონური იდენტობა არ წარმოადგენს სტატიკურ მოცემულობას, არამედ დინამიკურ პროცესს, რომელიც ისტორიული მეხსიერების, კულტურული ტრადიციებისა და თანამედროვე გლობალური ცვლილებების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. ამ თვალსაზრისით, იაპონიის გამოცდილება საინტერესო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე ეროვნული იდენტობების ტრანსფორმაციის შესასწავლად.

გიორგი ჩართოლანი,
ხელოვნებათმცოდნეობის დორქტორი,
შოთა რუსთველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულების პროფესორი

ტელევიზია 60+
(აუდიტორიის „დაბერება“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი)

ტრადიციული მედია, კერძოდ კი ტელევიზია, საქართველოში ჯერ კიდევ ინარჩუნებს ლიდერი მედიასაშუალების პოზიციას საზოგადოებრივ-პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში, რაც როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა ასაკის მომხმარებლის ინტერესით ვლინდება. თუმცა, სხვა სახის მედიაკონტენტის მიმართ აუდიტორიის ქცევა მკვეთრად დიფერენცირებულია: ახალგაზრდა თაობა კულტურულ-შემეცნებით და გასართობ პროდუქტს ძირითადად ციფრულ პლატფორმაზე ეცნობა, ხოლო 60+ ასაკის აუდიტორია ტრადიციული ტელევიზიის ერთგული რჩება. ამას, ძირითადად, ორი ფაქტორი განაპირობებს:

საოჯახო სივრცეში ტელეეკრანთან ურთიერთობის ჩვევა და უფროსი თაობის მიერ ციფრული ტექნოლოგიებისა თუ პლატფორმების ნაკლები გამოყენება. შესაბამისად, როგორც ქართულ სინამდვილეში, ისე გლობალურად, აქტუალური ხდება ტრადიციული მედიის ე.წ. დაბერების საკითხი.

ტელეაუდიტორიის დემოგრაფიული დაბერება, რასაც მედიაკვლევებში „ტელევიზიის გრეიინგს“ (Graying of Television) უწოდებენ, მრავალი მკვლევრის ინტერესის საგანს წარმოადგენს, რომლებიც სწავლობენ როგორც კომერციული, ისე საზოგადოებრივი მაუწყებლების მუშაობის სპეციფიკას ამ გამოწვევის ფონზე. კვლევის ობიექტს სწორედ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (სსმ) წარმოადგენს. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რამდენად შეესაბამება მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები თანამედროვე რეალობას და რამდენად აკმაყოფილებს იგი 60+ ასაკის მაყურებლის მოთხოვნებს. კვლევის ფარგლებში შესწავლილია, პასუხობს თუ არა სსმ-ის პროგრამული პოლიტიკა უფროსი თაობის კულტურულ-შემეცნებით მოლოდინებს. შესაბამისად, ჩამოყალიბდა კვლევის ჰიპოთეზა: „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბადე შეესაბამება 60+ ასაკის მაყურებლის მოთხოვნებს, რაც გამოიხატება სამაუწყებლო ბადეში კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის გადაცემების უპირატესობით“.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ნაშრომში პასუხი გაეცა შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. რა წილი ეთმობა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის პროგრამებს სსმ-ის სამაუწყებლო ბადეში?
2. რა სახის კულტურულ-შემეცნებითი პროექტები ესადაგება საქართველოში 60+ ასაკობრივი ჯგუფის ტელეაუდიტორიას?
3. რამდენად პასუხობს სსმ-ის მიერ შეთავაზებული კულტურულ-საგანმანათლებლო ფორმატები და თემატიკა 60+ წლის მაყურებლის მოთხოვნებს?

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია საქართველოს

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბადის კონტენტ-ანალიზი (კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროდუქციის ხვედრითი წილის განსაზღვრა) და 60+ ასაკის მედიააუდიტორიის მოთხოვნებისა და მოლოდინების თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა. მიღებული შედეგების საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა — სსმ ნამდვილად აწარმოებს 60+ აუდიტორიისთვის მისაღებ და თავსებად კულტურულ-შემეცნებით კონტენტს. თუმცა, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოება: ამავე ასაკობრივ ჯგუფში კულტურულ პროდუქტზე მეტად კვლავ სჭარბობს ინტერესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემების მიმართ, რაც განპირობებულია ქვეყნის არასტაბილური და მერყევი პოლიტიკური ველით. ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის როგორც ყოფით ქცევით კულტურაზე, ისე მედიაპროდუქტების მოხმარების პრეფერენციებზე.

ასმათ წერეთელი,
მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

კულტურისა და მედიის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები ციფრულ ეპოქაში

ციფრული ეპოქა კულტურასა და მედიას სრულიად ახალ განზომილებას სძენს და რადიკალურად ცვლის მათ ლანდშაფტს. ძირითადი ტენდენციები, რაც ამ პროცესების მიმდინარეობას განსაზღვრავს, არის: მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის (UGC) დომინირება, ხელოვნური ინტელექტის (AI) როლის ზრდა და კონტენტის პერსონალიზაცია. ყოველივე ეს კი მედიასა და კულტურას უფრო ხელმისაწვდომს, ინტერაქტიურსა და სწრაფად ცვალებადს ხდის.

თანამედროვე ტრანსფორმაციის მთავარი მახასიათებლებია: დემოკრატიზაცია და კონტენტის ახალი ფორმები, როგორებიცაა: ინდივიდუალური მედია და ვირტუალური კულტურა.

ციფრული პლატფორმები (მაგალითად, Facebook, Instagram, Tik Tok, You Tube) ყველას აძლევს შესაძლებლობას, გახდეს როგორც კონტენტის მომხმარებელი, ისე შემქმნელი (Creator Economy).

რაც შეეხება ვირტუალურ კულტურას, ხელოვნების ნიმუშები სულ უფრო ხშირად ციფრულ ფორმატში (მაგ. ვირტუალური გამოფენები) არსებობს, რაც მათ გლობალურად ხელმისაწვდომს ხდის.

ციფრულ ეპოქაში მედია პლატფორმები იყენებენ AI ალგორითმებს, რათა მომხმარებლის ქცევაზე დაყრდნობით უნიკალური, ინდივიდუალური, პერსონალიზებული კონტენტი შექმნან და შესთავაზონ აუდიტორიას. ხელოვნური ინტელექტი, ასევე, აქტიურად მონაწილეობს მუსიკის, ვიდეოს, სტატიებისა და გრაფიკული დიზაინის შექმნაში, რაც აჩქარებს შემოქმედებით პროცესს.

ტრადიციული მედიის ციფრული ადაპტაცია იწვევს კონვერგენციას, რაც გულისხმობს ტრადიციული მედიის (პრესა, ტელევიზია) შერწყმას ციფრულ სივრცესთან. მაგალითად, ბეჭდური გამოცემები სულ უფრო მეტად გადადიან პოდკასტებისა და ვიდეო-კონტენტის ფორმატზე. გადატვირთული საინფორმაციო ველი მედიას ავალდებულებს შექმნას უფრო მოკლე, ვიზუალურად მიმზიდველი და ინტერაქტიური ამბები.

ციფრული ეპოქის მახასიათებელია კულტურული გლობალიზაცია, როცა ციფრული ქსელების მიერ იშლება გეოგრაფიული საზღვრები, რის შედეგადაც კულტურული ტენდენციები მყისიერად ვრცელდება მთელ მსოფლიოში. პარალელურად, ადამიანები ცდილობენ კულტურული იდენტობისა და საკუთარი უნიკალურობის შენარჩუნებას, რაც გამოარჩევს მათ გლობალური აუდიტორიისგან.

ინტერაქტიურობა და საზოგადოების ჩართულობა იწვევს მრავალმხრივ კომუნიკაციას, როდესაც მაყურებელი ან მკითხველი აღარ არის პასიური მიმღები. ინტერნეტ მედია მოითხოვს პირდაპირ უკუკავშირს, კომენტარებს, გაზიარებებსა და პირდაპირ ჩართულობას (Live Streams).

ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი გამოწვევა არის სანდოობის შენარჩუნება და დეზინფორმაციასთან ბრძოლა, თუმცა მნიშვნელოვან სარგებლად აღიქმება კულტურის მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა, რაც უპრეცედენტო მასშტაბებს აღწევს.

თეა ჭანტურია,
აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სინთეზური მედია, როგორც აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის ახალი ეტაპი

წარსულში აუდიოვიზუალური კონტენტის შექმნა საჭიროებდა ადამიანის შემოქმედებით მონაწილეობას — რეჟისორს, ოპერატორს, მსახიობს, გახმოვანების მსახიობს, ილუსტრატორს და სხვ. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ (Sora, Midjourney, Runway, ElevenLabs...) პრინციპულად შეცვალა ეს პროცესი: სინთეზური მედია დღეს იძლევა ფოტორეალისტური სურათების, ვიდეოებისა და ხმების გენერირების საშუალებას, მინიმალური ადამიანური ჩარევით. ეს პროცესი არის აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის ახალი, რადიკალური ეტაპი.

კვლევის მიზანია გაანალიზდეს სინთეზური მედია, როგორც აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის ახალი ეტაპი, და გამოვლინდეს, თუ როგორ გარდაქმნის იგი ეკრანული ენის ფორმირების, სანდოობის შეფასებისა და ავთენტურობა/ავტორობის ტრადიციულ მექანიზმებს. აქტუალობა: სინთეზური მედია ერთდროულად მოქმედებს აუდიოვიზუალურ კულტურაზე სამი მიმართულებით: იცვლება ეკრანული ენის ფორმირების პრინციპები — გამოსახულება/ხმა აღარ არის ინდექსურად დაკავშირებული ფიზიკურ რეალობასთან;

იცვლება ავთენტურობისა და ავტორობის ტრადიციული გაგება, რადგან აუდიოვიზუალური პროდუქტის შექმნის პროცესში ადამიანის შემოქმედებით გადაწყვეტილებებს ემატება ალგორითმული გენერაციის ფაქტორი. ჩნდება სანდოობის შეფასების ახალი გამოწვევა, ვინაიდან მაყურებელი კარგავს ვიზუალურ მტკიცებულებაზე დაფუძნებული განსჯის ტრადიციულ ინსტრუმენტებს. ეს სამი განზომილება ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთს განაპირობებს. კვლევის პრობლემა: რამდენად და რა ფორმით გარდაქმნის სინთეზური მედია ეკრანული ენის ფორმირების პრინციპებს, სანდოობის შეფასების ტრადიციულ მექანიზმებსა და ავთენტურობა/ავტორობის ცნებებს — და როგორ ურთიერთმოქმედებს ეს სამი პროცესი აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე? მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება აუდიოვიზუალური კულტურის ტექნოგენური ტრანსფორმაციის თეორიულ ჩარჩოსა და ეკრანული ენის თეორიულ მოდელებს (მათ შორის, დეზინფორმაციისა და სანდოობის შეფასების თეორიებს). გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული ანალიზი და სინთეზური მედიის მაგალითების (AI-გენერირებული ვიდეო/სურათი/ხმა) შედარებითი განხილვა.

დასკვნა: კვლევის წინასწარი შედეგები მიუთითებს, რომ სინთეზური მედია ერთდროულად გარდაქმნის აუდიოვიზუალური კულტურის სამ ურთიერთდაკავში-რებულ განზომილებას — ეკრანულ ენას, სანდოობის შეფასების მექანიზმებსა და ავტორობის ცნებას. ეს პროცესები ერთმანეთს აძლიერებს: ეკრანული ენის ცვლილება ასუსტებს სანდოობის ტრადიციულ ინდიკატორებს, რაც განაპირობებს ავტორობისა და ავთენტურობის ცნებების გადახედვას. შედეგად, აუდიოვიზუალური კულტურა შედის ტექნოგენური ტრანსფორმაციის ახალ ფაზაში, სადაც აღქმის, ნდობისა და შემოქმედების ტრადიციული კატეგორიებს საჭიროებენ ფუნდამენტური გადააზრება.

ციფრული კულტურა და ახალი მედია

მარია ბუკურენჩუ-რიზესკუ,
დოქტორანტი და კინოფაკულტეტის სასწავლო ასისტენტი,
ი. ლ. კარაჯიალეს სახელობის თეატრისა და კინოს
ეროვნული უნივერსიტეტი,
ბუქარესტი, რუმინეთი

თამაშები თერაპიაში: აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან ინტერვენციების დიგიტალიზაცია სერიოზული თამაშების საშუალებით

კვლევის ძირითადი საგანია სერიოზული თამაშები, რომლებიც კლარკ ს. აბტის განმარტებით, წარმოადგენს პლატფორმებს, სადაც გასართობი და საგანმანათლებლო ფუნქციები თანაბრადაამიწოდებული (Abt, 2002). მათი კონცეპტუალიზაციის შემდეგ, სერიოზული თამაშების პოპულარობა მუდმივად იზრდება და მათი გამოყენების სფერო მრავალ მიმართულებას მოიცავს. თამაშების ამ კატეგორიას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ნეიროგანსხვავებული ადამიანების დასახმარებლად, რათა მათ, თანდათანობითი ჩართულობის გზით, კონტროლირებულ გარემოში უკეთ გაიაზრონ, ირგვლივ, არსებული რეალობა.

ამ მოსაზრებას ამყარებს 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომლის თანახმადაც, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები ციფრულ მედიასთან ურთიერთქმედებაში, საშუალოდ, 62%-ით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე მათი ნეიროტიპური და-ძმები (Mazurek & Wenstrup, 2013). აღნიშნული მონაცემი აუტიზმის სპექტრის აშლილობის თერაპიაში სერიოზული თამაშების დანერგვის პოტენციალზე მიუთითებს.

ამ მიმართულების დიზაინთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოსავლენად ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა ევროპაში ხელმისაწვდომი რესურსები, უპირატესად ინგლისურენოვანი მასალები. კვლევა წარმოადგენს მიმდინარე სადოქტორო პროექტის ნაწილს, რომელიც თერაპიისთვის სერიოზული თამაშების შექმნას ეძღვნება.

ნაშრომში ფართო მომხმარებლისთვის განკუთვნილი თამაშები შეფასდა სამი კრიტერიუმის საფუძველზე: აუტიზმის სპექტრის აშლილობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ან თერაპიული კომპონენტი; ყურადღების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ნარატიული კომპონენტი და ზოგადი ხელმისაწვდომობა – პლატფორმის, ფასისა და ენის თვალსაზრისით.

საბოლოოდ, უკვე ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, შეიქმნა ინდივიდუალურად მორგებული აპლიკაცია, რომლის მიზანია მისი თერაპიულ პროცესში ინტეგრირება. აპლიკაცია კონკრეტულად ენობრივი და სოციალური უნარების, აგრეთვე ნიმუშების ამოცნობის უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული. კვლევა მიზნად ისახავს ტექნოლოგიური ბარიერების დაძლევას, კლინიკურ ცენტრებში და ინდივიდუალურ პრაქტიკაში სერიოზული თამაშების გამოყენების ხელშეწყობისა და წახალისების გზით.

თამარ ვეფხვაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქართული ენა ხელოვნური ინტელექტის (AI) ეპოქაში: მცირე კულტურის გამოწვევები და შესაძლებლობები დიდი ენობრივი მოდელების კონტექსტში

ხელოვნური ინტელექტის დიდი ენობრივი მოდელების (LLM) სწრაფმა განვითარებამ ახალი გამოწვევები წარმოშვა მცირე ენებისა და კულტურების წინაშე. ქართული ენა, თავისი უნიკალური დამწერლობით, სტრუქტურითა და კულტურული მეხსიერებით, განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ამ კონტექსტში: იგი საკმარისად მდიდარია გადასარჩენად, თუმცა, ამავდროულად, საკმარისად მცირე, რომ სისტემური საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. წინამდებარე მოხსენება აანა-

ლიზებს, თუ რა გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტი (AI) ქართული ენობრივი გამოხატვის, კულტურული იდენტობისა და სიმბოლური სივრცის ფორმირებაზე. შედარებითი ანალიზის ფარგლებში განხილულია სხვა მცირე ენების - ისლანდიურის, უელსურისა და ბასკურის - გამოცდილება ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის კუთხით, რათა გამოიკვეთოს საუკეთესო პრაქტიკა და ქართული კონტექსტისთვის გამოსადეგი სტრატეგიები. მოხსენება ეყრდნობა ენობრივი იდენტობის თეორიებსა (ჰუმბოლდტი, ბახტინი) და ციფრული კოლონიალიზმის კონცეფციებს. დასკვნაში ნაჩვენებია, რომ ხელოვნური ინტელექტი ქართული კულტურისთვის მხოლოდ საფრთხეს არ წარმოადგენს; იგი ერთგვარი სარკეცაა, რომელიც გვიჩვენებს ინსტიტუციური ნების, სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქალაქო ინიციატივების კრიტიკულ მნიშვნელობას ციფრულ ეპოქაში ენობრივი სივრცის გადასარჩენად.

გიორგი რაზმაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ხელოვნური ინტელექტით გენერირებული გამოსახულების შეცდომები, როგორც ნიშნები

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ პლატფორმულ ციფრულ გარემოში რადიკალურად გარდაქმნა გამოსახულების წარმოების, ცირკულაციისა და ინტერპრეტაციის პროცესები. მოკლე ვიდეოების აპლიკაციები, როგორებიცაა TikTok და Douin, აღარ ფუნქციონირებენ მხოლოდ როგორც შინაარსის გავრცელების არხები; ისინი სულ უფრო მეტად იქცევიან გამოთვლით ინფრასტრუქტურებად, სადაც ალგორითმულად გენერირებული გამოსახულებები კონკურენციას უწევს და, რიგ შემთხვევებში, ანაცვლებს კიდეც ადამია-

ნის მიერ შექმნილ ვიზუალურ პროდუქციას. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულების გენერირების თანამედროვე სისტემებს ფოტორეალიზმის მაღალი ხარისხის მიღწევა შეუძლიათ, ისინი კვლავაც წარმოქმნიან განმეორებად ვიზუალურ ანომალიებს, დეფორმაციებსა და „გლიჩებს“. სტატიაში საუბარია, რომ მსგავსი შეცდომები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზებად, რომლებიც მომავალში უნდა აღმოიფხვრას; ისინი პლატფორმული კაპიტალიზმისა და ალგორითმული მმართველობის სტრუქტურულ გამოვლინებებს წარმოადგენენ.

ჰიტო შტაიერლის, მიშელ ფუკოს, პოლ ვირილიოს, როზა მენკმანის, ფრანსუა ტოსკელესის, ჯოდი დინის, ალექსანდერ გალოუეის, მაკენზი უარკისა და ნ. კეტრინ ჰეილზის თეორიულ ნააზრევზე დაყრდნობით, ასევე ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შეცდომების ავანგარდის ისტორიულ კონტექსტში (კუბიზმიდან, დადაიზმიდან და სიურრეალიზმიდან თანამედროვე გლიჩ-ესთეტიკამდე) გააზრებით, სტატიაში ხელოვნური ინტელექტის გლიჩები ნიშნებად არიან გააზრებულნი. ეს ანომალიები წარმოადგენენ ფიცრული და ბუნებრივი რესურსების არათანაბარი განაწილების, ალგორითმული კონტროლის, კომუნიკაციური კაპიტალიზმისა და დიგიტალური ამბოხის სიმბოლოებს.

ხელოვნური ინტელექტის გლიჩები შეიძლება გავიგოთ როგორც ანტისისტემური ვიზუალური სიმპტომები, რომელთა კრიტიკული პოტენციალი ისტორიული ავანგარდისას უახლოვდება, მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობითი ინსტიტუციონალიზაცია და ტექნიკური ოპტიმიზაცია საბოლოოდ შესაძლოა მათი გაქრობით დასრულდეს. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ფიცრულ გარემოში არსებული ვიზუალური შეცდომები მხოლოდ ხარვეზებად არ უნდა ითვლებოდეს; აუცილებელია მათი პოლიტიკური, კულტურული და ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებაც.

მუსიკოლოგია

ბაიბა იაუნსლავიეტე,
პროფესორი, ხელოვნების დოქტორი
იაზეფ ვიტოლსის ლატვიის მუსიკის აკადემია

ეზოპეს ენა პეტერის ვასკსის საბჭოთა პერიოდის მუსიკაში

ლატვიური მუსიკის ისტორიაში საერთაშორისო აღიარების მქონე კომპოზიტორი პეტერის ვასკსი (Pēteris Vasks) გამოირჩევა, როგორც იმ ეპოქის ერთ-ერთი მცირერიცხოვან ხელოვანთაგანი, რომელმაც სრულიად უგულებელყო პოლიტიკური კონიუნქტურის მოთხოვნები. მას არცერთი თავისი ნაწარმოები არ მიუძღვნია კომუნისტური პარტიის, ოქტომბრის რევოლუციისა თუ სხვა იმდროინდელი იდეოლოგიზებული თემებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ვასკსის მუსიკა ღია დისიდენტობას არ გამოხატავს, კომპოზიტორმა შეიმუშავა თავისებური „ეზოპეს ენა“. ამ ენის გააზრება გადამწყვეტია მისი 1970-იანი და 1980-იანი წლების კომპოზიციების თანამედროვე ინტერპრეტაციისთვის.

წინამდებარე პრეზენტაცია ფოკუსირებულია ამ „ეზოპეს ენის“ სპეციფიკურ ასპექტებზე:

ალეატორიკის გამოყენება. პეტერის ვასკსი ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც ეს ტექნიკა ლატვიურ მუსიკაში დაამკვიდრა. იგი ამ ხერხს პირდაპირ უკავშირებდა მუსიკოსებისადმი მოწოდებას — გათავისუფლებულიყვნენ საბჭოთა ეპოქაში ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე თავსმოხვეული მკაცრი რეგულაციებისგან;

„საკუთარი კომპოზიციის ხალხური სიმღერები“ (ტერმინი, რომელიც კომპოზიტორმა მომხსენებელთან ინტერვიუში გამოიყენა) — ეს სიმღერები ასახავს ვასკსის ტკივილს ლატვიელი ერის ბედზე საბჭოთა პერიოდის ინტენსიური ურბანიზაციის პირობებში;

ჩიტების გალობის იმიტაცია, მაგალითად, ნაწარმოებებში „პეიზაჟი ჩიტებით“ ფლეიტისთვის (Landscape with Birds) და „მუსიკა გადამფრენი ჩიტებისთვის“ ჩასაბერ საკრავთა კვინტე-

ტისთვის (Music for Fleeting Birds). ვასკსის შემოქმედებაში ეს მოტივი ემსახურება არა მხოლოდ ბუნების, არამედ გადაადგილების თავისუფლებისა და ეკოლოგიური განგაშის სიმბოლოს.

პრეზენტაციის მიზანია, ასევე, შეადაროს ვასკსისა და საბჭოთა ეპოქის სხვა კომპოზიტორების ეზოპეს ენები — მაგალითად, შოსტაკოვიჩის (Shostakovich), რომელიც ახალგაზრდობაში ხანდახან ვასკსის შთაგონების წყარო იყო, და არვო პიარტის (Arvo Pärt), რომელთანაც მას დღემდე მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აერთიანებს.

სოფიო მოდებაძე,
ფილოსოფიის დოქტორი
მოწვეული ლექტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გია ყანჩელის შემოქმედებითი გზის ფილოსოფიური საზრისი

ხელოვნების ნაწარმოებთა ფილოსოფიური შინაარსის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ საინტერესოა ქართული მუსიკალური კულტურის ეპოქალური შინაარსის, მსოფლიოში აღიარებული გია ყანჩელის შემოქმედება.

არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვანის შემოქმედება მით უფრო მასშტაბურია, რაც უფრო თავისუფალია ყოფითი პრობლემების ასახვისგან, მაგრამ ხელოვანი როგორი ორიგინალური და დიადიც არ უნდა იყოს, გენიალობა მას საზოგადოებისგან კი არ წყვეტს, არამედ ადამიანთა წარმომადგენლად აქცევს.

კომპოზიტორის შემოქმედების მთავარ თემას ადამიანის სულიერი, ემოციური ცხოვრების ასახვა წარმოადგენს. „ხელოვნების არსი - აღნიშნავს ყანჩელი - იმაშია, რომ იგი წინააღმდეგობას უწევს უსამართლობას, რათა დაუპირისპიროს მას სიკეთე და სილამაზე“.

ცხოვრების ჰარმონიულობის მიღწევაში დიდი როლი ეკისრება, როგორც ხელოვნებას, ასევე ფილოსოფიას, რომელიც ქმნის ეპოქის სულიერ სახეს.

ჭეშმარიტ ხელოვნებაში უნდა იყოს ფილოსოფიურობისადმი მიდრეკილება, ესწრაფვოდეს გლობალურ აზროვნებას, მსოფლიო პრობლემებისა და თავსატეხების გადაწყვეტას, სამყაროს მდგომარეობის გაცნობიერებას.

ყანჩელის შემოქმედებაში ერთმანეთთან არის ჰარმონიაში რაციო და ემოცია, მის მუსიკას აქვს ძალა – დააფიქროს ადამიანი და უბიძგოს აზროვნებისკენ.

პეტია სტეფანოვა,
დოქტორი, მუსიკოლოგი, ფლეიტისტი,
თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნული აკადემია
„კრასტიო სარაფოვი“, სოფია, ბულგარეთი

ბავშვი, როგორც კომპოზიტორი: მუსიკა, თამაში და წარმოსახვა გენერაციულ შემოქმედებით-საგანმანათლებლო მოდელში

ნაშრომში განხილულია მუსიკალური განათლების ტრანსფორმაცია თანამედროვე კულტურული ცვლილებების კონტექსტში, სადაც ბავშვი აღარ აღიქმება მხოლოდ მსმენელად, შემსრულებლად ან მხატვრული ცოდნის მიმღებად, არამედ მუსიკალური შინაარსის აქტიურ შემოქმედად გვევლინება. ამ პერსპექტივიდან, მუსიკა არისარა უბრალოდ დასრულებული ნაწარმოები, არამედ შემოქმეებითი პროცესი რომელიც ბგერის, მოძრაობის, სახის, თამაშისა და სხეულებრივი ფანტაზიის საშუალებით იშლება.

კვლევა წარმოადგენს ავტორისეული, ორიგინალური გენერაციული შემოქმედებით-საგანმანათლებლო მოდელის თეორიულ საფუძვლებს. ეს მოდელი შემუშავებულია ბავშვებთან, სტუდენტებთან და შერეულ საგანმანათლებლო ჯგუფებთან ხანგრძლივი პედაგოგიური და შემოქმედებითი პრაქტიკის შედეგად.

მოდელი აერთიანებს მუსიკალური პედაგოგიკის, შემოქმედებითი თამაშის, ვიზუალური აზროვნების, ნარატიული ფანტაზიისა და საწყისი კომპოზიციური დავალებების ელემენტებს. მისი ცენტრალური იდეაა, რომ ბავშვებს მუსიკალური აზროვნების შემოქმედებით შეუძლიათ ხელმისაწვდომი სიმბოლური ფორმების – პერსონაჟების, ჟესტების, სახეების, ისტორიების, ბგერითი კვალისა და სათამაშო დავალებების მეშვეობით, რაც მათ აღქმის ეტაპიდან თანდათან შემოქმედების პროცესამდე მიიყვანს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „მუსიკალური პერსონაჟის“ ფიგურას, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს აბსტრაქტულ მუსიკალურ პარამეტრებსა და ბავშვის წარმოსახვით სამყაროს შორის. ამგვარი ფიგურების წყალობით, ისეთი მუსიკალური მახასიათებლები, როგორებიცაა მოძრაობა, კონტრასტი, ინტენსივობა, ტიმბრი, რიტმი და მელოდიური მიმართულება, ემპირიული (გამოცდილებითი) და შემოქმედებითი ტრანსფორმაციისთვის იღება. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ შეუძლია ამ მიდგომას ხელი შეუწყოს სმენითი უნარების, ემოციური გამოხატვის, ასოციაციური აზროვნებისა და ადრეული კომპოზიციური ცნობიერების განვითარებას.

შემოთავაზებული საავტორო მოდელი პასუხობს კულტურული ცვლილებების ფართო კონტექსტს, რაც მუსიკალურ განათლებაში ტრადიციისა და ინოვაციის ურთიერთმიმართების ხელახალ გააზრებას გულისხმობს. იგი ინარჩუნებს მხატვრული გამოცდილების ფორმირებად ძალას და, ამავდროულად, ხსნის მას ინტერდისციპლინური, პროცესზე ორიენტირებული და ბავშვზე ცენტრირებული შემოქმედებითი პრაქტიკისთვის. ამ გაგებით, ბავშვი აღიქმება არა კულტურის პასიურ მონაწილედ, არამედ ახალი მხატვრული და სიმბოლური სამყაროების პოტენციურ კომპოზიტორად.

მარინა ქავთარაძე,
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორის პროფესორი

მე-20 საუკუნის მუსიკალური თეატრი განახლების გზების ძიებაში

მოხსენება ეძღვნება XX საუკუნის მუსიკალური თეატრის ჟანრული მოდიფიკაციების საკითხს, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ ფენომენს - „ანტიოპერას“. ამ თემასთან მიმართებით განიხილება ახალი ტენდენციების ჩამოყალიბების წინაპირობები, რომლებიც სათავეს იღებს ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიასთან დაკავშირებული თეატრალური ავანგარდიდან და წარმოადგენს ოპერის მეორად „პაროდიულ სარკეს“. ოპერის რადიკალური მოდიფიკაციების პროცესი განიხილება ისეთი ტენდენციების კონტექსტში, როგორებიცაა:

- ანტინარატიულობა: სიუჟეტის, თანმიმდევრული თხრობისა და ტექსტის უარყოფა აბსტრაქტული კონცეფციის სასარგებლოდ.
- მსახიობის/რეჟისორის ტრადიციული ფიგურების უარყოფა, რამაც ბიძგი მისცა ჰეფენინგებისა და პერფორმანსების განვითარებას.
- ვოკალური საწყისის დომინირების უარყოფა: ტრადიციული საოპერო სიმღერის ჩანაცვლება მეტყველებით, მელოდეკლამაციით ან ხმაურით.
- ავტონომიური მუსიკალური დრამატურგიის არარსებობა: მუსიკალური განვითარების ტრადიციული პრინციპების უარყოფა და აქცენტის გადატანა ვიზუალურ, სცენურ და ვერბალურ კომპონენტებზე.

ოპერისა და ანტიოპერის ურთიერთმიმართება მოხსენებაში განხილულია მავრიციო კაგელის „სახელმწიფო თეატრისა“ /Staatstheater (1967) და დიერდ ლიგეტის „ანტი-ანტიოპერის“ - La Grand Macabre (1977) მაგალითზე.

წარსულის უარყოფის გამოცდილებამ გზა გაუხსნა სრულიად ახალი ტიპის სინთეზურ მუსიკალურ-თეატრალურ ხელოვ-

ნებას, რომელშიც თანამედროვე კომპოზიციური ხერხები, აბსურდისტული და ეგზისტენციალური კონცეფციები ორგანულად შეერწყა განახლებულ, მუსიკალურ დრამატურგიას, რომლის პარალელურად, ტრადიციული ოპერა განაგრძობდა განვითარებასა და მოდერნიზაციას.

თამარ ჩხეიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი,
პრორექტორი

იბაკოს ჟანრი ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში: გენეზისი, მოდალური ორგანიზაცია და ჟანრული ტრანსფორმაცია

მოხსენება ეძღვნება იბაკოს ჟანრის გენეზისისა და მისი განვითარების პროცესის შესწავლას ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში. კვლევის მიზანია ჟანრის ისტორიული ჩამოყალიბების, ქართულ საგალობლო პრაქტიკაში მისი დამკვიდრებისა და შემდგომი მუსიკალური ტრანსფორმაციის ძირითადი თავისებურებების გამოვლენა.

კვლევის ფარგლებში განხილულია რომანოზ მელოდოსის იბაკოების ქართული რეპერტუარი და მისი მუსიკალური ორგანიზაციის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იბაკოების მოდალურ ორგანიზაციას, ხმათა სისტემასთან მათ მიმართებას, მელოდიური მოდელებისა და დედან-ჰანგების ფუნქციას, აგრეთვე ჭრელი საგალობლების მელოდიურ საფუძვლებთან მათ კავშირს. სანოტო და ჭრელი საგალობლების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს იბაკოს ჟანრის მელოდიური სტრუქტურის განმსაზღვრელი პრინციპები და ის ცვლილებები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე გამოვლინდა.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება იბაკოს მუსიკალური რეალიზაცია ქართულ ტრადიციაში ჟანრის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიულ მოდელს და რა

თავისებურებები წარმოიქმნა მისი ქართულ ლიტურგიკულ და საგალობლო გარემოში ფუნქციონირების შედეგად. ამ თვალსაზრისით, იბაკოს ჟანრი განიხილება არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ლიტურგიკული ტექსტის მუსიკალური ფორმა, არამედ როგორც ქართული საგალობლო ტრადიციის ფარგლებში ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის პროცესის მნიშვნელოვანი მაგალითი.

ქორეოლოგია

ეკატერინე გელიაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ქართული ქორეოგრაფიული ენის ტრანსფორმაცია: ანსამბლ „სუხიშვილებისა და „აფხაზეთის“ შემოქმედებითი პარადიგმები

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ხალხური ხელოვნება „ცვლილებების ზღვარზე“ დგას. ტრადიციული კულტურული კოდების შენარჩუნებასა და საერთაშორისო შოუ-ბიზნესის ინდუსტრიულ სტანდარტებს შორის ბალანსის ძიება ქართული ქორეოგრაფიის უმთავრეს გამოწვევად იქცა. წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ იცვლება ქართული ცეკვის კომპოზიციური ფორმა, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ტექსტი, როდესაც ის საერთაშორისო თანამედროვე მაყურებლის გემოვნებასა და სცენის მოთხოვნებს ერგება.

კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილებისა“ და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის თანამედროვე რეპერტუარი. ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი და სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის მეთოდები.

- საერთაშორისო შოუს დინამიკა მოითხოვს ტრადიციული, ხანგრძლივი ფორმების შეკუმშვას. ორივე ანსამბლის მაგალითზე დასტურდება, რომ ნომრების ქრონომეტრაჟის შემცირება იწვევს აქცენტის გადატანას აკრობატიკულ ელემენტებზე.
- ანალიზი აჩვენებს, რომ პროექტებში („ტრანსფორმაცია“, „არტეფაქტები“) „სუხიშვილები“ ახდენენ ხალხური ლექსიკის დეკონსტრუქციას. ისინი ქართული საცეკვაო პლასტიკის სინთეზით კონტემპორარსა და მოდერნ-ბალეტთან ერთად ქმნიან უნივერსალურ ესთეტიკურ პროდუქტს.
- „სუხიშვილებისგან“ განსხვავებით, ბაჩანა ჭანტურიას კონცეფცია ეფუძნება არა აბსტრაქტულ ფორმებს, არამედ სიუ-

ჟეტურ ელემენტებს, სადაც ავთენტიკური ქართული პლასტიკის აქცენტები შენარჩუნებულია ხელოვანის ფანტაზიით შექმნილ ლექსიკასთან მუსიკის სიმფონიური და პოლიფონიური მოდერნიზაციის ფონზე.

- საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტაცია გულისხმობს ეთნოგრაფიული კოსტიუმების სტილიზაციას და მულტიმედიური განათების პარტიტურების გამოყენებას, რაც ქმნის ეგრეთ წოდებული „ეთნო-შოუს“ ფენომენს.

„სუხიშვილების“ ექსპერიმენტული ნოვატორობა და ანსამბლ „აფხაზეთის“ თეატრალიზებული ეთნო-მოდერნიზმი არის თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციის, კულტურული გადარჩენისა და გლობალურ სახელოვნებო სივრცეში ქართული იდენტობის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ცოცხალი პროცესი. ამ ექსპერიმენტების მხატვრული თუ სუბიექტური ღირებულება დისკუსიის საგნად რჩება, თუმცა უდავოა, რომ აღნიშნული გარდაქმნები ქართულ ცეკვას გლობალურ კულტურულ სივრცეში აქტუალობას უნარჩუნებს.

ლაურელ ვიქტორია გრეი,
ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის თეატრისა და ცეკვის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი; Silk Road Dance Company-ის სამხატვრო ხელმძღვანელი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ

„მაკნატუნას“ „არაბული ცეკვის“ საკრალური ქართული საწყისების აღდგენა

ჩაიკოვსკის საყოველთაოდ ცნობილი „არაბული ცეკვა“ ბალეტიდან „მაკნატუნა“ ატარებს კულტურულ მემკვიდრეობას, რომლის ფესვებიც არა არაბეთში, არამედ ძველ საქართველოშია. სტატია იკვლევს ამ ნაწარმოების ნამდვილ წარმომავლობას და მის მისტიკურ მელოდიას ქართულ იავნანას უკავშირებს. იავნანა არის სიმღერა, რომელიც მიემართება ქრისტიანობამ-

დელ ქალღმერთ ნანას - ნაყოფიერების, განკურნებისა და მფარველობის კულტის განსახიერებას.

ისტორიულ, ეთნომუსიკოლოგიურ და ქორეოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით - მათ შორის ქართველ ქორეოლოგთან და ცეკვის ისტორიკოსთან, ავთანდილ თათარაძესთან ინტერვიუს საფუძველზე - სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ წმინდა რიტუალური ცეკვა „სამაია“, რომელსაც ოდესღაც ქალები ქალღმერთ ნანასადმი მადლიერების ნიშნად ასრულებდნენ, ტრანსფორმირდა და იავნანის ტრადიციებში შემოინახა.

რუსული ორიენტალიზმის, ჩაიკოვსკის საქართველოში ვიზიტებისა და კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვთან მეგობრობის წყალობით, ეს უძველესი მელოდია დასავლურ მუსიკაში „აღმოსავლური“ საფარველით შევიდა. მუსიკის საკრალური ქართული წარმომავლობის წინ წამოწევით, ეს სტატია ეჭვქვეშ აყენებს კულტურული ასიმილაციის არსებულ ნარატივებს. ნაშრომი „მაკნატუნას“ „არაბულ ცეკვას“ ხელახლა განმარტავს, როგორც ქართველი ქალების რიტუალური მუსიკისა და სულიერების ურყევი გავლენის დასტურს.

თავისუფალი თემების სექცია

დალი მესაბლიშვილი,
თეატრალური ხელოვნების დოქტორი

სათეატრო ხელოვნება, როგორც სოციალური განვითარების ხარაჩო
(მოზარდთათვის)

1. ნაშრომში, სათეატრო ხელოვნების სპეციფიკა გამოყენებულია მოზარდზე სოციალური გავლენის მოხდენის ინსტრუმენტად, რის შედეგადაც მისი ფსიქოფიზიკური აპარატი განიცდის პოზიტიურ ცვლილებებს და აქტიური სოციალიზაციის პროცესებს გადის: „სოციალური ზემოქმედება ქცევის მოდელს ცვლის“ (დ. ნადირაშვილი, „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“, თბ., 2009 წ. გვ.: 143);
2. თანამედროვე მოზარდისათვის საჭირო გახდა სოციალური შინაარსით დატვირთული იმგვარი თეატრალური ეტიუდების შექმნა, რაც ადამიანისათვის წარმოადგენს ბულინგთან მშვიდობიანად და ღირსეულად გამკლავების ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტს;
3. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის მოტივაციის ზრდისათვის მნიშვნელოვანია მოზარდს ემოციური უსაფრთხოების ატმოსფერო შევუქმნათ, გადავწყვიტე თეატრალური ეტიუდი მექცია მათ წინაშე არსებულ ფსიქოსოციალურ პრობლემებში გარკვევისა და მათი გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებად;
4. იმისათვის, რომ შეგირდმა გავლენათა თვისებრივი კატეგორიზაცია და სწორი ანალიზი შეძლოს, მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ მასში ინტელექტუალური მზაობისა და ესთეტიკური განცდის განვითარებას, რასაც „შემეცნებით და ზნეობრივ ღირებულებასთან ერთად უმაღლესი საფეხური უკავია“ (ყულიჯანიშვილი ა., „ესთეტიკა“, თბ., 2024, გვ.: 75);

5. მნიშვნელოვანია ჰერმენევტიკული გაგება, ამავდროულად, განვიხილოთ სათეატრო ხელოვნების სპეციფიკასთან ბმაში, როგორც გონისა და ანალიზის უნარების შემოქმედებითი კორელაციის პროცესი და შედეგი.
6. სიმშვიდის შენარჩუნების უნარს მოზარდს უყალიბებს თავდაჯერებულობის განცდა, რომელიც, თავის მხრივ, პიროვნული სიძლიერის შეგრძნებისა და თვითრწმენის კომპონენტებზე აღმოცენდება, რაც ჯანსაღ პროცესად და შედეგად იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, თუკი ის ეფუძნება პიროვნული კომპეტენციების, სოციალურად მნიშვნელოვანი, საინტერესო და საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება-დაგროვების პროცესებს.

მანანა ტურიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
„თეატრალის ფონდის“ ხელმძღვანელი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ბიბლიური პერსონაჟის განვითარება ორ ლიტერატურულ ნაწარმოებში და მიხეილ თუმანიშვილის სარეპეტიციო პროცესში

ბიბლიური პერსონაჟი ბევრ საფიქრალს აღძრავს მკითხველში. ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტები უხვად არის გაბნეული ევროპული ქვეყნების ხელოვნებაში. ოსკარ უაილდის „სალომეას“ და გუსტავ ფლობერის „ჰეროდიადას“ გააზრებისას, აუცილებლად უნდა გადაიხედოს „სახარება მათესი“ (14:1-11) „სახარება მარკოზისა“ (6:21-29), სადაც ჰეროდეს დაბადების დღეზე ჰეროდიადას ასულმა იცეკვა.

მიხეილ თუმანიშვილი სარეპეტიციო პროცესში სხვადასხვა სახით მიმართავდა ბიბლიურ თემებს - ან ბიბლიიდან მაგალითის მოყვანით, ან ცნობილ მხატვართა ტილოებზე ასახულ ფსიქოლოგიური მდგომარეობების ახსნით, ან ფილმებით და ასე

შემდეგ, რაც ახალი პერსონაჟის შექმნის ბიძგად ესახებოდა. რეჟისორი ლიტერატურის, მხატვრობის გამოყენებით ამდიდრებდა სარეპეტიციო პროცესს, რასაც საგანმანათლებლო ფუნქციაც ჰქონდა.

კინომსახიობთა თეატრში შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“ ელენეს სახის დამუშავების ერთ-ერთი ხაზი ამ პერსონაჟისა და სალომეას პარალელები იყო. რეჟისორმა დიდი დრო დაუთმო ტყეში დაგებულ ხაფანგში გახლართული დემეტრიუსის მოხელთების ეპიზოდს, სადაც ელენე თავდაუზოგავად ცდილობს მოეფეროს სატრფიალო ობიექტს. პარალელი თითქმის იდენტურად ასახავდა სალომეასა და იოქანაანის ლიტერატურულ დუეტს, ოღონდ კომიკური ეფექტის გაძლიერებით.

რეჟისორმა მაგალითისთვის მოიყვანა ოსკარ უაილდის პიესა „სალომეა“, თუმცა რეპეტიციების ჩანაწერებში ჩანს, რომ მან შესაძლოა კარგად იცოდა ჰაინრიხ ჰაინეს პოემა „ატა ტროლი. ზაფხულის ღამის სიზმარი“ (Atta Troll. Ein Sommernachtstraum), ასევე გუსტავ ფლობერის ნოველა „ჰეროდიადა“, რითიც ამტკიცებდა: წარმოსახვის დროს წარმოქმნილი მოსაზრება ხშირად ცოდნას ეფუძნება.

საბოლოოდ, რეპეტიციებზე მოიხსნა „სალომეას თემა“, მაგრამ დარჩა ლტოლვა იმ ქალის, რომელიც ვნებით მართული და ჭკუადაკარგული მზადაა თავდაუზოგავად დაადგეს სატრფოს დაპყრობის გზას.

რა წარმოსახვებს აღვივებენ „სალომეას თემის“ დრამატურგიული და პროზაული ტექსტები. რას მოგვცემს მათი შედარებითი ანალიზი. წამყვანი ფიგურებისა და მათი ფუნქციების დადგენით, ავტორები როგორ მიდიან სალომეას ცეკვის პროცესამდე. რას წარმოადგენს ეს ცეკვა, როგორც მკითხველის, ასევე ლიტერატურულ თვითმხილველთა შეფასებით. ვისთვის დაიწერა ოსკარ უაილდის „სალომეა“ და რა ძლიერდება სალომეას ცეკვაში „შვიდი საბურავით“, რომელიც ელენეს პერსონაჟის ამოხსნის ფაქიზად შეპარული, მაგრამ მისი ეროტიკულობის ზუსტი კამერტონი გახდა.

